F75N667

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1000 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. ხაზგლოვიერო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— ლოზანის კონფერენციაზე სრუტეების საკითხი გადაწყვეტილია.

— კაპიტულიაციის საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

— პოლონეთის ახალმა პრეზიდენტმა არ მიიღო სიკორსკის კაბინეტის გადადგომა.

— ესენის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მარკის აჯანყების ხელმძღვანელ ბერგმანს.

— რურის ოლქის მუშები ენერგიულად ილაშქრებენ ოკუპაციის წინააღმდეგ.

№ 295 შაბათი, 23 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5.000 მან. № 295

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლარი თვეში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი“	ქართული	230.000	200.000
„პრავდა გრუზიი“ . . .	რუსული	230.000	200.000
„კარმირ ასტხ“	სომხური	230.000	200.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილ იქნება ხელისმომწერთა საპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დღის 9—2 საათამდე.

საბჭოთა მეათე ყრილობა

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა მეათე ყრილობა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა დიდ იმედებს ამყარებდნენ შინაური კონტრ-რევოლიუციონერები და საზღვარგარეთ გახიზნული თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები უკვე განვლილ საბჭოთა არჩევნებზე. რევოლიუციის მტრების პროგნოზით, რომელიც უფრო მათ სურვილებს ემყარებოდა, ვინემ რეალურ სინამდვილეს, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ისეთი გარდატეხა მოახდინა სოციალურ ძალთა ურთიერთობაში და ფსიქოლოგიურ განწყობილებაში, იმდენად გაძლიერდნენ ბურჟუაზიული ძალები, რომ კომუნისტური პარტია თითქო თანდათან კარგავდა გავლენას და იქმნებოდა პირობები „დემოკრატიის“ გამარჯვებისათვის. ამ მითიურ პროცესს ცრუ წინასწარმეტყველების აზრით, უნდა ეპოვა გამოხატულება საბჭოთა არჩევნებში; საბჭოებში თუ უმრავლესობა არა, ბლომად მაინც უნდა გასულიყვნენ ანტი-კომუნისტური ელემენტები, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა სისტემის შინაგან გარდაქმნას ბურჟუაზიული დემოკრატიის აზრით.

მაგრამ არჩევნებმა ცხადყო, რომ მშრომელი მასები ეხლა უფრო მეტად, ვინემ როდისმე, ნდობას უცხადებენ და უჭერენ მხარს კომუნისტურ პარტიას; ყველგან ერთხმად გადიოდნენ ჩვენი ამხანაგები და ის ნამდვილად უპარტიო მოქალაქენი, რომელთაც აქვთ გულწრფელი სურვილი ხელი-ხელ ჩაკიდებულად ითანამშრომლონ კომუნისტურ პარტიასთან და თავიანთი ძალღონე და ცოდნა მოახმარონ საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებას.

სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა, როგორც ის არა ერთხელ მომხდარა, საბჭოთა ხელისუფლების მტრების ჭორლოდინი კომუნისტურ პარტიის შესუსტების და საბჭოთა რეჟიმის დაცემის მომენტის მოახლოვების შესახებ.

ესაა უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების იდეის, რომელმაც ღრმად მკვიდრი ფესვები გაიდგა ხალხის მილიონიან მასსებში.

ამ ფაქტმავე გამოარკვია სისწორე ახალი ეკონომიური პოლიტიკის, მუშების და ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღორძინების, რევოლიუციის პერსპექტივების თვალსაზრისით.

ეს გარემოება უფრო მეტ მნიშვნელობას გვმატებს ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში საბჭოთა აღმშენებლობის შემდეგი გაღრმავება-გაფართოვებისათვის ამისათვის მეათე ყრილობა გამონახავს სათანადო საშუალებებს და გზებს. საამისოდ მას აქვს მდიდარი გამოცდილება და მასალა, მეცხრე ყრილობის შემდეგ დაგროვილი.

მეცხრე ყრილობა ჩატარდა მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობის ნიშან ქვეშ. საკითხები მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და ფინანსების მდგომარეობის და ამ დარგებში საჭირო ღონისძიებათა გატარების შესახებ, რომელნიც დგანან მე-10-ე ყრილობის დღის-წესრიგში, აგრეთვე შეადგენდნენ მე-9-ე ყრილობის მუშაობის საგანს, როცა უკვე გამორკვეული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი კონტურები. უეჭველია ერთი წლის განმავლობაში დიდი წარმატება დაეტყო ცხოვრების ყოველ სფეროს. მრეწველობა გამოცოცხლების გზაზე შესდგა, შრომის ნაყოფიერებამ იმატა, მეწარმეობის ფორმები გამარტივებულ იქნა და სასოფლო მეურნეობის აღორძინება საგრძნობია, ფინანსები ჯანსაღდება, საგადასახადო საქმე შედარებით მოწყობილია და მანეთის კურსი თანდათან მტკიცდება, ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობა გაჩნდა, ყველაფერ ამან ასწია როგორც მუშის, ისე გლეხის კეთილდღეობაც.

მეათე ყრილობა ჯამს გაუკეთებს მიღწეულ შედეგებს, შეამოწმებს მეცხრე ყრილობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობას და ცხოვრების ახალ ვითარებასთან შეფარდებით შეიტანს შიგ საჭირო კორრექტივებს და მეტ კონკრეტობას.

გარდა სამეურნეო საკითხებისა, ყრილობის განსაკუთრებულ მსჯელობის საგანი იქნება, განათლების საკითხი. განათლების საქმე პირველად ისმება საბჭოთა ყრილობაზე მთელი თავისი სიგრძე სიგანით. ამ დარგს დღემდე არ ექცეოდა ის ყურადღება, რომელიც მას თავის თავად ეკუთვნის. მტრებისაგან თავდაცვის და ეკონომიურ ნგრევის დაძლევის საკითხები იწირავდა მთელ ენერგიას.

და თუ დღეს, შესაძლებელია ხალხის განათლების საკითხის ფართოდ დაყენება, ეს მოწმობს, რომ საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა გაუმჯობესებულა. მეორე მხრივ ეს იმაზე ღაღადებს, რომ ამ სფეროში საჭიროა რადიკალური ზომების მიღება და ხალხის გამოყვანა საუკუნო სიბნელიდან და უმეცრებიდან, რომელშიც ის იმყოფება ძველი რეჟიმის წყალობით.

ყრილობამ, რაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გამონახოს მშრომელ მასსის განათლების სათანადოდ დასაყენებლად აუცილებელი ნივთიერი სახსარი.

ყრილობის პროგრამა აღნიშნული საკითხებით არ ამოიწურება. იქ დაისმება უაღრესი მნიშვნელობის საკითხი—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ. ყრილობას ესწრებიან არა მარტო რუსეთის დელეგატები, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც. კერძოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ გაგზავნა მაზე თავის უფლება მოსილი დელეგატები.

ამგვარად, საბჭოთა ყრილობა არის მთელი საბჭოთა ფედერაციის პირველი ყრილობა.

საბჭოთა ქვეყნების მშრომელები ის წლობიან უფრო შემჭიდროვდნენ გარეშე მტრებისაგან თავდაცვის და შინაური, ეკონომიური ცხოვრების ურთიერთშეთანხმებული ძალებით უკეთ მოგვარების მიზნით. საბჭოთა ფედერაციის ყრილობა ხორცს შეასხამს მშრომელ მასსების მისწრაფებას და შექმნის საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრ კავშირს.

მომწიფებული საკითხი

II.

აგრარული რეფორმის მიზანია გლეხობის მიწის სივიწროვესთან ბრძოლა, მოსპობა იმ მდგომარეობისა, როდესაც მიწის დიდი რაოდენობა ერთი პირის თუ ჯგუფის საკუთრებას შეადგენს, და გლეხობის უმრავლესობას კი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. აგრარული რეფორმა გულისხმობს ამ უთანასწორობის მოსპობის და მიწით სარგებლობის საშუალების მიცემას ყოველი მიწის მუშისათვის. ეს შეუწყობს ხელს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას და შრომის ნაყოფიერების განვითარებას. მჭიდროთ დასახლებული მაზრების გლეხობა ელოდა რევოლიუციისაგან ხსნას, გამოსავალს იმ ანორმალურ მდგომარეობიდან, როდესაც მის განკარგულებაში ისეთი მცირე რაოდენობა იყო მიწისა, რომ მას დღე და ღამეც რომ გაეწვალებია და განუწყვეტლივ ემუშავნა მაინც ვერ შესძლებდა საკმაო მოსავლის მოყვანას და შიმშილობის თავიდან აცდენას. რევოლიუციას უნდა გამოეყვანა ის ასეთი მდგომარეობიდან, გაეუმჯობესებია მისი ეკონომიური კეთილდღეობა მის სარგებლობაში მყოფ მიწის რაოდენობის გადიდებით, გაფართოებით. გლეხისთვის უდიდესი საკითხი მიწის საკითხია, მაზეა დამოკიდებული მისი კეთილდღეობა და იმედები. რევოლიუციას გლეხი თანაგრძნობით მხოლოდ იმიტომ შეჰყურებდა, ყოფილ მთავრობების საწინააღმდეგო გამოსვლებში მხოლოდ იმიტომ ღებულობდა მონაწილეობას, რომ მიწის საკითხი მის სასარგებლოთ გადაჭრილიყო, რომ მისი ინტერესები დაკმაყოფილებული ყოფილიყო. მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა გლეხობა, ღარიბ გლეხობის უმრავლესობა იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიდაც იყო მეფის მთავრობის დროს. მენშევიკებმა ვერ გაამართლეს ღარიბ გლეხობის იმედები, ვერ ასწიეს მისი ეკონომიური მდგომარეობა, გლეხმა ვერ მიიღო მიწა, ვერ აიცდინა შიმშილობა და სხვის კარზე სალალო მიწისთვის სიარული.

გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, მუშურ გლეხური მთავრობის დიქტატურა: უმიწაწყლო გლეხობა იმედით შეჰყურებდა ახალ მთავრობას, მოელოდა მისგან დაკმაყოფილებას მიწის საკითხში. ახალი ხელისუფლება კიდეც შეუდგა ამ საკითხის მოწესრიგებას გლეხობის ინტერესების სრული დაცვით, მაგრამ მის წინაშეც აღიმართა დაბრკოლება: მიწა ყველასათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ზოგიერთ მაზრებში მაინც. გამომუშავებულ იქნა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მიწის ნორმები და კანონები, ღარიბ გლეხობის ინტერესების სრული დაცვით მაგრამ გლეხობამ ყველგან ვერ მიიღო ეს ნორმა მიწის სივიწროვის გამო.

სად არის გამოსავალი? რომ აგრარული რეფორმამ ერთი სისტემით იქნეს ჩატარებული მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, რომ გლეხობამ მასსებმა გამოცხადებული მიწის ნორმები მიიღოს, აუცილებლათ საჭიროა გადასახლების საკითხის მოწესრიგება მისი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით. მჭიდროთ დასახლებულ მაზრების განტვირთვა მორიგი საკითხია, უამისოთ საბჭოთა მთავრობის აგრარული რეფორმა სრული არ იქნება, დამთავრებულათ არ ჩაითვლება.

საქართველოს საზღვრებშივე ახალქალაქ-ახალციხისკენ, სოხუმისკენ, ყარაიაზ-შირაქ-ლაგოდეხ-კახეთში მოიპოვება თავისუფალი ადგილები და სწორედ ამ რაიონებისკენ უნდა მიიმართოს გადასახლების ტალღა. გადასახლების საკითხი საბჭოთა რუსეთშიც არის წამოჭრილი, და როგორც დეპეშებში იყო აღნიშნული გადაწყვეტილია ზოგიერთ ცენტრალურ გუბერნიების შემჭიდროვება და ციმბირისაკენ გადასახლების მოძრაობის ჯერ-ჯერობით შეჩერება. გლეხს უნდა მიეცეს მიწა, მაგრამ თუ ადგილობრივ საკმაო მიწა არ მოიპოვება, სახელმწიფოს დახმარებით და ხელმძღვანელობით ის უნდა გადასახლდეს იქ სადაც არის საშუალება მისი მიწით დაკმაყოფილებისა.

ამნაირათ გადასახლების საკითხი აგრარულ პოლიტიკასთან მჭიდროთ დაკავშირებულია, მისი განუყოფელი ნაწილია და ბუნებრივია აგრარული რეფორმა და გადასახლების საკითხის მოგვარება პარალელურათ სწარმოებდეს.

ი. ბ.

ლუი პასტერი

(27 დეკ. 1822 წ.—28 სექტ. 1895 წ.).

ამ ასი წლის წინად, 27 დეკემბერს დოლში, იურის დეპარტამენტში, ნაპოლეონის ჯარის ყოფილ უნტერ-ოფიცრის ოჯახში, დაიბადა ვაჟი, რომელსაც ბედზე ეწერა შემდეგში კაცობრიობისათვის და სამშობლოსთვის განუსაზღვრელი სარგებლობის მოტანა. ეს ვაჟი, რომელიც შეიქმნა მთელი მეცნიერების ბურჯად და რომლის გამო ჩვენი დღევანდელი მკურნალობა და გადამდებ სენთა წინააღმდეგი ბრძოლა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული, იყო **ლუი პასტერი.**

20 წლის პასტერი ათავებს ბაკალავრის გამოცდებს და შედის პარიზის ნორმალურ სკოლაში, რომელშიაც მან შემდეგში დაამუშავა თავისი საუკეთესო გამოკვლევანი გადამდებ სენის და მიკრობთა ფიზიოლოგიის შესახებ.

ნორმალური სკოლა პასტერმა დაამთავრა ფიზიკურ მეცნიერებათა დოცენტის დიპლომით და, როგორც ნორმალური სკოლის ქიმიის ლაბორანტმა, განაგრძო მუშაობა ცნობილი ბოტიარის ლაბორატორიაში. აქ მან დაამთავრა თავისი ორი დისერტაცია, რომელთა შორის პოლიარიზაციის მოვლენათა შესახებ შეიქმნა თემად მისი შრომისა და დაბოლავდა კრისტალების ასიმეტრიის მნიშვნელობის გამორკვევით.

გარემოებამ აიძულა პასტერი დაეტოვებია წმინდა ქიმიური კვლევა-ძიება და დაეწყო მუშაობა იმ დარგში, რომელმაც პასტერის სახელს საქვეყნო მეცნიერის მნიშვნელობა მიანიჭა და რომელიც იყო იმის მიზეზი, რომ პასტერმა თავისი ყურადღება და ინტერესი წმინდა ქიმიური საკითხებიდან ბიოლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ საკითხებზე გადაიტანა. ასეთ გარემოებათ აღმოჩნდა ჯერ სპირტის გამომხდელობის მიმართვა პასტერისადმი თხოვნით, რომ მას გამოერკვია მიზეზები სპირტის გამოხდის უწესო მსვლელობისა, რის გამოც ისინი დიდათ ზარალობდნენ.

ამგვარად პასტერი იძულებული შეიქნა შესდგომოდა დუღილის შესწავლას და ამ შესწავლას შედეგად მოჰყვა რძის სიმჟავის დუღილის მიზეზის აღმოჩენა, დუღილის პირობების და მიზეზების გამორკვევა, დუღილის გამომწვევ მიკრობთა სპეციალურ თვისებების აღმოჩენა, თვითნებითი ჩასახვის საკითხის გადაწყვეტა და სხვა

აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობის შესწავლამ (რომლის შედეგადაც ე. წ. „პებრინა“-სთან ბრძოლის გზა გამოირკვა და მით მთელი სამხრეთ საფრანგეთის აბრეშუმის წარმოება დაღუპვას გადარჩა), კიდევ აიძულა პასტერი ქიმიური რეაქტივების მაგიერ მიკროსკოპი აეღო თავის გამოკვლევების იარაღად და ყურადღება იმ პატარა არსებათა მიმართ მიექცია, რომელთა მნიშვნელობა დუღილისათვის თვალნათლად იყო გამორკვეული თვით პასტერის მიერ.

ამ პატარა არსებებს, მიკრობებს, ხვდებოდენ არა მარტო დუღილის დროს. პასტერის დროისათვის მრავალი მიკრობი იყო აღმოჩენილი და აღწერილი სხვა და სხვა მასალაში, ზოგი ავადმყოფ სნეულის სისხლში და სხვა სითხეებში, ზოგი სხეულის გარეშე ბუნებაში, მაგრამ მათი მნიშვნელობა სრულიად გამოურკვეველი და გამოუცნობი იყო.

დუღილი, როგორც მოვლენა და ავადმყოფობა ბევრს საზოგადო თვისებებს შეიცავს და ეს მსგავსება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ უკვე მე 17 საუკუნეში რობერტ ბოილის მიერ გამოთქმული იყო აზრი, რომ ბევრ ავადმყოფობის მიზეზი მაშინ გამოირკვევა, როდესაც დუღილის მიზეზი იქნება გამორკვეული. პასტერის მიერ გამორკვეული დუღილის მოვლენა, მნიშვნელობა ამ პროცესისთვის მიკრობებისა და მიკრობების მნიშვნელობის გამორკვევა დაჩირქებისთვის, შეიქნა ლისტერისათვის პირველ საბუთად მისი ანტისეპტიური დაჩირქებისა.

შეუდგა რა ერთხელ პასტერი მიკრობების შესწავლას, აღარ დაუნებებია თავი იმ საინტერესო არსებათა ცხოვრების გამორკვევისათვის და შემდეგში მან ახალი საბუთებით დაამტკიცა კოხის მიერ აღმოჩენილი ციმბირის ჭირის „ჩხირების“ ეთიოლოგიური მნიშვნელობა. ქათმების ხოლერის მიკრობის შესწავლამ პასტერს მისცა პირველი საბუთი წინასწარი აცრის მეცნიერულად გამორკვევისა. ჯენერის მიერ შემოღებული ყვავილის წინააღმდეგ აცრა წმინდა ემპირიულ ნიადაგზე იყო დამყარებული; პასტერმა კი გამოარკვია მიკრობის მავნებლობის შემცირების პირობები და ამ გვარად მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ვაქცინაციის საკითხს გადამდებ სენთა წინააღმდეგ. ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო აცრა, ღორების წითელი ქარის წინააღმდეგ ვაქცინა იყვნენ ის ეტაპები, რომელიც წინ უძღოდნენ პასტერის საუკეთესო შრომას, რომელმაც კაცობრიობას მისცა საშუალება ცოფის თავიდან აცილებისა. ცოფის წინააღმდეგ აცრით პასტერმა დააგვირგვინა თავისი მრავალწლოვანი მოღვაწეობა, ადამიანის საკეთილდღეოთ მიმართული, და სავსებით დაიმსახურა ის დიდი ძეგლი, რომელიც კაცობრიობამ მას სიცოცხლის დროსვე აუგო მისი სახელობის ინსტიტუტის სახით. პასტერის ინსტიტუტი შეიქნა მეცნიერულ ცენტრათ, საიდანაც ჩვენ გვესმოდა გამოკვლევანი მეჩნიკოვისა, დიუკლოსი და სხ. მეცნიერთა. პასტერის ინსტიტუტი შეიქმნა სკოლად, სადაც განვითარდა პასტერის მიერ გამორკვეული მიკრობიოლოგია. პასტერის ინსტიტუტი შეიქმნა წასაბაძ მაგალითად ყველა ქვეყნებისათვის და ყველა ერისათვის, სადაც კი ცივილიზაციას და მეცნიერებას ადგილი ჰქონდა.

პასტერი არის ბურჯი დღევანდელი მკურნალობისა, იგი არის დამაარსებელი იმ საგნისა, რომელიც თანამედროვე მედიცინის სიამაყეს შეადგენს და ის პატარა საზეიმო სხდომა მისი ხსოვნის პატივსაცემათ, რომლითაც ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება დღეს 23 დეკემბერს, მისი დაბადების 100 წლის თავზე, აღნიშნავს უნივერსიტეტის შენობაში, იქნება მხოლოდ ერთი მცირე წვლილი იმ საერთო საზეიმო მოგონებებისა, რომლითაც კრძალვითა და პატივისცემით შეხვდებიან და მოიგონებენ მთელი მსოფლიო მეცნიერული და საზოგადოებრივი წრეები პასტერის სახელს და მის დაუფასებელ ღვაწლს კაცობრიობის წინაშე.

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროფ. ს. ამირეჯიბი.**

რადიო-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

საკითხი გადაწყვეტილია.

ლიფშილდი. 22 დეკ. ამ ჟამად შეიძლება ითქვას, რომ საკითხი სრუტეების შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილია.

სრუტეების საკითხი.

ბორდო. 22 დეკ. გაზეთების ცნობების მიხედვით სრუტეების საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. მოსაწესრიგებელია მხოლოდ დეტალები. ლორდ კერზონმა, ისმეთ-ფაშას განცხადების საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში გამოთქვა თავისი კმაყოფილება იმის გამო, რომ მოკავშირეთა წინადადების მთავარი პუნქტები მიღებულია ისმეთ-ფაშას მიერ.

ბორდო, 22 დეკემბ. ოთხშაბათს ოსმალებმა მიიღეს სრუტეების საკითხის შესახებ მოკავშირეთა გეგმის მთავარი პუნქტები, თუმცა ოსმალეთის დელეგაციის დამატებითი მოთხოვნანი განხილული იქნებიან. ბარერმა აღნიშნა, რომ ოსმალებმა ანგარიში გაუწიეს საფრანგეთის მოწოდებას ზომიერებისაკენ.

ნაუენი. 22 დეკ. რუსეთის დელეგაციამ უარი განაცხადა სრუტეების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა მოსალოდნელია, რომ ის დაესწრება უკანასკნელ სხდომას ამ საკითხის შესახებ.

ოსმალეთის დელეგაციამ რეიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ იგი წავიდა უკანასკნელ დათმობაზე და თუ მოკავშირეებმა არც ეს მიიღეს, მაშინ არავითარი შეთანხმება არ იქნება შესაძლებელი.

კაპიტულიაციის საკითხი.

ბორდო 22 დეკემბ. კაპიტულიაციის საკითხში ჯერ-ჯერობით არ არის გამონახული ნიადაგი შეთანხმებისთვის.

რომი. 22 დეკემბ. სრუტეების კომისიის სხდომაზე ისმეტ ფაშა მოითხოვდა თავის თეზისების მიღებას სრუტეების თავისუფლების საკითხში. შემდეგ ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვდა გალიპოლის 50 ათას ჯარის კაცისაგან შემდგარ გარნიზონის დატოვების. ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ ოსმალეთის სუვერენიტეტის დასაცავად სრულებით საკმარისია ოსმალეთის ჟანდარმერია. მოკავშირეთა წინადადების დანარჩენ მთავარ პუნქტების მიღებაზე ოსმალებმა თანხმობა განაცხადეს. ამის შემდეგ, გარრონიმ და ბარერმა და აგრეთვე იაპონიის, სერბიის და რუმინიის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს იმედი და სრული რწმენა იმის შესახებ, რომ სრუტეების საკითხი სასურველად იქნება დასრულებული.

უმცირესობათა საკითხი.

ბორდო. 22 დეკემბ. უმცირესობათა საკითხის კომისია დილის სხდომაზე ხუთშაბათს ცდილობდა მოკავშირეთა ტექსტთან შეთანხმებას. ჯერ-ჯერობით შეთანხმდნენ მხოლოდ ერთ პუნქტში, სახელდობრ, სკოლებში უმცირესობათა ენების სწავლის შემოღების შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ ოსმალური ენა დარჩეს სახელმწიფო ენად. „ტანის“-ს ცნობით სასტიკი შეტაკება მოხდა რიზა-ნურ ბეის და ვენიზელოსის შორის მცირე აზიიდან ბერძნების ემიგრაციის საკითხზე.

პარიზი. 22 დეკემბ. კაპიტულიაციის საკითხში მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ისინი კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმების თანახმა იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები ხელწერილს დადებენ, რომ ისინი დააწესებენ ისეთ რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელთა ინტერესებს. ოსმალებმა ჯერ-ჯერობით უარი განაცხადეს ამ პირობაზე.

ლილფილდი. 22 დეკ. კაპიტულიაციების და სხვა ეკონომიური საკითხების განხილვის დროს წამოიჭრა ახალი სიძნელე. პირველ საკითხში ოსმალები დგანან შეურიგებელ პოზიციაზე.

რომი. 22 დეკ. კაპიტულიაციის კომისიის დღევანდელ სხდომაზე ოსმალეთის დელეგაცია იცავდა იმ დებულებას, რომ უფლებრივი მდგომარეობა ოსმალეთში საკმარისად უზრუნველყოფს უცხოელების ინტერესებს. ამის გამო ოსმალებმა უარყვეს მოკავშირეთა პროექტი ოსმალეთის სასამართლოების კომპეტენციიდან უცხოელთა საქმეების გამოყოფის და მათი შერეულ სასამართლოებში გადაცემის შესახებ. იტალიის დელეგატმა გარრონმა აღნიშნა ოსმალეთის კანონმდებლობის ერთ წერტილზე გაჩერება და ურჩია ოსმალეთის დელეგაციას გამოეჩინოს ზომიერება და დაამტკიცოს მოკავშირეებთან შეთანხმების სურვილი და აგრეთვე არ აურიონ კაპიტულიაციის საკითხი პოლიტიკური ხასიათის საკითხებთან. ოსმალეთის დელეგაციის მუდმივი წინააღმდეგობის გამო, კაპიტულიაციის კომისიის მუშაობა გარონის განცხადების შემდეგ შეჩერებულია.

ლონდონის პრესის აზრი ლოზანას კონფერენციის შესახებ

ლონდონი. 22 დეკემბერი. ლონდონის გაზეთები გამოსთქვამენ კმაყოფილებას სრუტეების საკითხის შესახებ, რომელიც ერთ დროს საფრთხეს უქადდა კონფერენციის მუშაობას და დღეს კი საბოლოოთ გადაჭრილია. ამავე დროს გაზეთები წუხარებით აღნიშნავენ, რომ ოსმალები მაინც კონფერენციის ჩაშლის პოლიტიკას აწარმოებდნენ და ამასვე აწარმოებენ ახლაც კაპიტულიაციის საკითხში.

„დეილი ტელეგრაფი“ გამოსთქვამს კმაყოფილებას, რომ კონფერენციის მუშაობა გრძელდება და რომ კონფერენციამ ამჟამად შეძლო გამოენახა ისეთი ბაზა, რომლის მეოხებითაც ახლო-აღმოსავლეთში დამყარდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა და საერთაშორისო ურთიერთობა. გაზეთი აღნიშნავს, რომ რაც უნდა მოხდეს აწი, კონფერენციის მუშაობა მაინც არ ჩაიშლის უპირველეს და ადრე თუ გვიან მოგვცემს თავის შედეგებს. გაზეთი ამბობს: ეჭვ გარეშეა, რომ ანგორის საქციელი აღარაა ისეთი შეურიგებელი და იმედია კონფერენცია სასურველად დამთავრდება, განსაკუთრებით თუ ოსმალები ერთხელ და საბოლოოთ აღიარებენ, რომ მოკავშირეთა მოთხოვნილებანი იქნებიან შესრულებულნი. მაგრამ ანგორაში კიდევ სუფევს მოუთმენლობა, რასაც შეუძლია კონფერენციის დაშლამდე მიყვანა. დაბოლოს გაზეთი იმედს ამყარებს „ოსმალეთის ზრდილობის გამოცდილებაზე და გონებაზე“.

„დეილი ქრონიკლი“ ამბობს: „ოსმალეთის სახელმწიფო საჭიროებს, არა მარტო ზავს, არამედ ფულსა და მატერიალურ დახმარებასაც, რისი მიღებაც მას შეუძლია მხოლოდ დასავლეთ სახელმწიფოებისაგან“.

ახლო აღმოსავლეთში

სტამბოლი.

ბორდო. 22 დეკემბერი. ქემალფაშამ მიიღო ნოტა, რომელსაც ხელს აწერენ ბარერი, ბარონი და კერზონი, რომელშიდაც მოკავშირეები მოითხოვენ, რათა საბოლოო ზავის დადებამდე არ იქნეს არავითარი ცვლილებები შეტანილი სტამბოლის მართვა-გამგეობაში.

გენ. პელეს განცხადება.

ბორდო. 22 დეკემბერს. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად გენერალ პელემ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კონფერენციის წევრებს შორის სუფევს მორიგების სურვილი. პელემ გამოსთქვა იმედი, რომ კონფერენცია შეძლებს გამოიმუშავოს არამც თუ წინასწარი საზავო პირობები, არამედ საბოლოო საზავო ხელშეკრულებაც, რომლის ხელის მოწერაც ალბად იანვრის პირველ ნახევარში მოხდება.

პოლონეთის ამბები

მოსკოვი, 22 დეკ. პოლონეთის სახალხო კრებამ (სენატის და სეიმის დეპუტატებმა) 298 ხმის უმრავლესობით აირჩია პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ვოიცეხოვსკი. ნაციონალ-დემოკრატების კანდიდატმა მორავსკიმ მიიღო 221 ხმა.

ბორდო. 22 დეკ. პოლონეთის რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა უარყო სიკორსკის კაბინეტის წინადადება გადადგომის შესახებ.

ვოიცეხოვსკის არჩევის გამო „პტი პარიზიენი“ ამბობს, რომ ვოიცეხოვსკი უნდა ეკუთვნოდეს ზომიერ პარტიებს.

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილერანმა მიმართა მისასალმებელი დეპეშით ვოიცეხოვსკის, მისი პრეზიდენტად არჩევის გამო.

მდგომარეობა იტალიაში

ტურინში მომხდარ ამბების გამო.

მოსკოვი, 22 დეკემბ. ტურინში მოხდა შეიარაღებული შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის. შეტაკების დროს 16 კაცი მოკლულია და 50 კაცი დაჭრილია. გაიგო თუ არა მომხდარ ამბების შესახებ, ფაშისტების ტურინის განყოფილების უფროსმა გამოაცხადა ყველა მის განკარგულებაში მყოფ ძალების მობილიზაცია, რის გამო ქალაქი აღმოჩნდა ფაშისტების რაზმების ხელში. უკანასკნელებმა ალყა შემოარტყეს შრომის პალატას, აიძულეს იქ მყოფი კომუნისტები დანებებულიყვნენ, გადასწვეს ბირჟის შენობა, გაანადგურეს და გადასწვეს „ორდინე ნუოვოს“ რედაქცია და ორი კომუნისტური კლუბი.

ანტანტა და გერმანია

რურის ოლქი.

მოსკოვი. 22 დეკ. ინგლისის სამხედრო სამინისტროს ყოველკვირეულ ორგანოში გამოქვეყნებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისს არ შეუძლია დაუშვას საფრანგეთის კონტროლი რურის ოლქში, ვინაიდან ამ შემთხვევაში, საფრანგეთის ხელში იქნებოდა ევროპისათვის ნახშირის, რკინის და ფოლადის მიწოდების საქმე.

განოვერი, 22 დეკ. რურის ოლქის მუშები ერთხმად ილაშქრებენ ოლქში წარმოებულ დაპყრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობის იმედი, პოლონეთის მუშების მხარის დაჭერის შესახებ, არ გამართლდა, იმის გამო, რომ რურის ოლქში მილიონ მუშაზე 80—90,000 პოლონელი მუშა მოდის. ეს აიხსნება პოლონელ მუშების ზედა სილეზიაში ემიგრაციით.

ამერიკა და გერმანია

მოსკოვი. 22 დეკ. გავრცელებულ ხმების გამო თითქოს ამერიკა აპირობს ევროპის საქმეებში ჩარევას, სენატორმა ბორამ მიმართა პრეზიდენტს შემდეგი განცხადებით:

„ამერიკას არ შეუძლია ჩაერიოს ევროპის საქმეებში, სანამ ევროპა უარს არ იტყვის იმპერიალიზმის, მილიტარიზმის და ნავთის დიპლომატიის პოლიტიკაზე, სანამ არ შეამცირებს რეპარაციებს და სანამ არ იცნობს რუსეთს“.

ბორდანმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეუძლებელია გერმანიას მიეცეს სესხი რეპარაციების საკითხის მოწესრიგებამდე.

საერთაშორისო ფაშიზმი

ბერლინი. „ფორვერტსი“ სწერს: „იტალიაში ფაშიზმის გამარჯვება ძლიერ აღელვებს გერმანიის საზოგადოებრივ აზრს. წვრილი ბურჟუაზიის ახალგაზრდა უძლიერესი ნაწილი შეიძლება გაიტაცოს ფაშიზმის იდეამ, ვინაიდან მუშათა უმრავლესობა კარგად გრძნობს, რომ მოსალოდნელ ახალ არევ დარევის დროს შესაძლებელია წარმოება სრულებით დაიღუპოს. მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ მუსოლინის და მისი მიმდევრთა მოღვაწეობა არა მარტო იტალიაში ვრცელდება. კარგად ვიცით, რომ მუსოლინიმ თავის ბრწყინვალე გამარჯვების წინ რამოდენიმე ხანი დაჰყო ბერლინში და მოლაპარაკება გამართა სახალხო პარტიის წევრებთან. ბერლინში ცხოვრობდა აგრეთვე ფაშისტების გენერალი, რომელმაც შემოიკრიბა ნაციონალისტური ოფიცრობა და უკანასკნელი უმართავდა ბანკეტებს, სადაც ამბობდნენ აღფრთოვანებულ სიტყვებს. თავის თავად ცხადია, რომ ინტერნაციონალიზმი არ შეიძლება შედიოდეს ასეთ ვიწრო ნაციონალისტურ მოძრაობაში, როგორც არის ფაშიზმი, და ამიტომ გასაგებია, რომ ფაშიზმის პროგრამაში შედის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა ბოლშევიზმისათვის.

ასეთ წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ყველა სახელმწიფოების სათავეში მოიქცევიან მემარჯვენე მთავრობები. ძალიან დამახასიათებელია მუსოლინის უკანასკნელი გამგზავრება ვენგრიაში, სადაც მან სერიოზული მოლაპარაკება გამართა მთავრობის მეთაურთან ხორტისთან. ამრიგად, ფაშიზმმა საერთოდ ევროპის ცხოვრებაში შეიტანა ახალი მიმდინარეობა. ცენტრი, რომელიც ემუქრება ევროპის პოლიტიკას, არის არა მოსკოვი, არამედ რომი“.

სხვადასხვა ამბები

შეერთებული შტატების ფლოტი.

ნაუენი, 22 დეკ. შეერთებული შტატების საზღვაო საქმეთა მინისტრმა დენბიმ შეიტანა ამერიკის კონგრესში წინადადება, რომლის მიხედვითაც არც შეერთებულ შტატებს და არც იაპონიას არ აქვთ სურვილი შეუწყვიტონ დიდი გემების აშენება, სანამ ვაშინგტონის შეთანხმება განიარაღების შესახებ არ იქნება სისრულეში მოყვანილი ყველა სახელმწიფოების მიერ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 22 დეკ. ეკატერინბურგში ამუშავდა თუჯის სადნობი ქარხანა, რომელიც ამზადებს გლეხობისათვის საჭირო ნაწარმოებს.

ყაზანის უნივერსიტეტში.

მოსკოვი. 22 დეკ. ყაზანის სტუდენტობამ ამხ. ლენინს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძევ, ყაზანის სტუდენტობა შეიკრიბა რა თვითმპყრობელ მთავრობის მიერ თქვენი ყაზანის უნივერსიტეტიდან გაძევების 35 წლის თავის აღსანიშნავად, გიგზავნის მხურვალე სალამს თქვენ, რომელმაც განვლეთ მთელი წლები რევოლიუციონურ მოღვაწეობისა ჭერს ქვეშ, ემიგრაციის მძიმე დღეები და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში დაამტკიცეთ რევოლიუციონურ მარქსიზმის იდეასადმი თავდადება, მიდგრად იცავდით რა ამ სამოქალაქო ომის პრინციპების სიწმინდეს, მის ნამდვილ აზრს და ურყევ ნებისყოფას. ჩვენ ვამაყობთ თქვენით, ჩვენი უნივერსიტეტის ძველი სტუდენტით. თქვენი მოღვაწეობა—მსოფლიოს სოციალური გარდაქმნის იდეა—ღრმად შეიჭრა ჩვენ სულში. ჩვენ გვწამს, რომ თქვენ მომავალ მოღვაწეობაში შეძლებთ სიტყვა აქციოთ საქმეთ.

საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვებისათვის

მოსკოვი, 22 დეკემბ. პეტროგრადში ჩამოვიდა საფრანგეთის მრეწველთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელსაც მინდობილი აქვს დადოს ხელშეკრულება პეტროგრადის სამეურნეო ორგანოებთან და აგრეთვე განიხილოს საკითხი, საფრანგეთის მიერ რუსეთისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

ბრძოლა შიმშილობის წინააღმდეგ ყირიმში

სიმფეროპოლი. 15 დეკ. ყირიმში შიმშილობამ კვლავ მწვავე ხასიათი მიიღო. საზოგადოებრივი კვების საქმე გადაეცა ყირიმის კავშირს, ყირიმის სასოფლო კავშირს, წითელ ჯვარს და სხვა საზოგადოებრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ამ დღეებში ყირიმის სასოფლო კავშირმა მოსკოვში, ხარკოვში და ოდესაში გაგზავნა 4 ვაგონი ძველი ღვინო, 2.800 ფუთი ხილეულობა და ყირიმის ნედლი მასალის დიდი რაოდენობა. ყოველივე ეს გადაცვლილი უნდა იქნეს დამშეულთათვის საჭირო პურზე. ყირიმის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს უკვე გადაეცა რამოდენიმე ათეული ვაგონი ჭვავი.

წითელი ჯვრის ორგანიზაციებით მთელი ყირიმი მოიფინა, რომელნიც ყველაზე უფრო დამშეულ ადგილებში ათასობით კვებავს დამშეულ ბავშვებს და ნაწილობრივ დახმარებას უწევს ინვალიდებს და აგრეთვე ყირიმის სტუდენტობას და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთ.

წითელი ჯვრის ორგანიზაცია საექიმო დახმარებას უწევს მთელ მოსახლეობას.

ყირიმში ტარდება „ბავშვის კვირა“, რომლის შემოსავალიც შესაძლებლად გახდის ბავშვების გამოკვების საქმის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

უკრაინაში

ინტერვიუ ფრუნზესთან.

მოსკოვი. 21 დეკ. უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდალმა ფრუნზემ წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „1921 წლის მობილიზაცია ბრწყინვალეთ ჩატარდა ჯარში გაწვეულთა სულიერი განწყობილება მშვენიერია. მობილიზაციამ დაგვანახვა, რომ ქალაქი მართლაც დაკავშირებული ყოფილა სოფელთან. მშრომელთა ფართო დახმარების შეწყობით მობილიზაცია

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის

კანტორა

აცხადებს, რომ 16 დეკემბრის დილის 8 საათიდან ის აწვდის ქალაქის მცხოვრებლებს უბანის ფქვილიდან კარგად გამომცხვარ პურს გირვანქას 10 ათას მანეთად ქართული ბონებით, ქვემოდ ჩამოთვლილ პურის საცხობებიდან.

პურის აღნიშნულ ფასზე ზევით გაყიდვის შემთხვევის დროს გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ სახელმწიფო ბანკში ტელეფონით № 323.

სია რუსული პურის საცხობების

ქალ. ტფილისში.

№№ რიგზე	გვარი და სახელი	დღიურად გამოსაცხობ პურის რაოდენ. ტომრებში	მისამართი
	1-ლი უბანი		
1	გაბაჩიანი ოგანესი	5	საბურთალო ს. ს.
2	გრიგორიანი ხაჩიკი	3	წყნეთის ქუჩა
3	მოსრიკიანი მუშეგი	5	კირკის შესახვევი 7.
4	ვარდიკიან კარაპეტი	5	წყნეთის ქუჩა., 14.
5	ჩამანიან გალუსტ	5	
	მე-2-ე უბანი		
6	დანდურჯიანი აბრამი	4	წყნეთის ქ. 32.
7	კამარიანი კარაპეტი	8	ოლღას ქ. 2.
8	მატოსიანი ალექსანდრე	8	რუსთაველის 18.
9	გავრიილოვი ალექსი	7	ბელინსკის ქ. 24.
10	კოჯიან ალექსანდრე	8	ოლღას 10.
	მე-3-ე უბანი		
11	საკოვი ტატოსი	15	მეჟევის ქ. 1.
12	მკრტჩევი ავეტისი	7	სასამართლოს ქ. 26.
13	ოსმანიანი მკრტიჩა	5	ამაღლების ქ. 14.
14	ტიპუხიანი ტიგრანი	7	რუსის ქუჩ. 5.
	მე-4-ე უბანი		
15	ისრაელიანი ალექსანდრე	4	მუხრანის ქ. 24.
16	ძმ. კევორკოვები	15	პუშკინის ქ. 11.
17	ჰოზოიანი ჰოლოსი	15	ველიამინოვის ქ. 20.
18	ტიპუხიანცი პეტროსი	5	მუხრანის ქ. 1.
19	პეტროსიანი პეტროსი	5	დიდი ვანქის ქუჩა.
	მე-5-ე უბანი		
20	ეგეკიანი პეტროსი	3	ფრანცოვის ქ.
21	დურლარიანი გრიგოლი	10	პურის მოედანი.
22	ხალილ კელიმ ოღლი	7	ვორონცოვის ქ 12.
23	იგივე „ „	3	სურ. სარქისის ქუჩა.
24	ჰოკსიანი გალუსტი	3	პურის მოედანი.
	მე-6-ე უბანი		
25	საკიანი ნერსე	5	ნავთლუღის ქ 1
26	საკიანი პეტროსი	3	რეიტეროვსკის ქუჩა.
	მე-7-ე უბანი		
27	კაკლანიანი ვართანი	15	ღვინის აღმართი.
28	მურადიანი კეროპი	6	ვარდის მოედანი 4.
29	პატარიანი ოგანესი	5	კონდრატენკოს ქ.
30	კოსიანი მელიქა	5	კახეთის მოედანი 23.
	მე-8-ე უბანი		
31	ტერ-არუთინოვი ვართანი	6	დესიმონოვის ქუჩა. 30
32	სარქისოვ ალავერდი	6	19 თებერვლის ქ. 40
33	მულიანი პოღოსი	6	მიმოსვლის ქ, 4.
34	პოეტიანი არუთინი	6	პანასკევიჩის ქ.
35	ოსლანიანი მკრტიჩი	2	ნიკოლოზის ქ. 1.
	მე-9-ე უბანი		
36	ეგანიანი ოგანეზი	10	ელისაბედის ქ. 47.
37	იკიბაბალოვი მელქონი	15	პლეხანოვის პრ. 49.
38	ეტმეკჩიანი მელქონი	15	კირკის ქ. 37.
39	ეგანიანი ოკოსტინოსი	6	კირკის ქ. 9.
	მე-10-ე უბანი		
40	სებუნჯიანი მკრტიჩი	6	პლეხანოვის პრ. 126.
41	ეტმეკჩიანი ოსეპი	6	ნიკოლოზის ქ. 100.
42	„საერთო შრომა“	15	პლეხანოვის პრ. 119.
43	ჩერმაკიანი გრიგოლი	6	ანდრეევის ქ. 33.
44	უზუნიანი ვართანი	6	გოგოლის ქ. 53.
45	სამსონიანი სიროპი	7	ვაგზლის ქ.
46	ტალმანიანი გრიგოლი	4	მალაკნის ქ 4.
47	ბოიაჯიანი ოგანესი	4	ჩერქეზიშვილის ქ. 79.
48	ხერლიანი სტეფანე	4	მალაკნის ქ. 3.
49	ბატმანიანი მოსესი	4	გოგოლის ქ. 40.
	მე-11-ე უბანი		
50	ემინიანი ავეტისი	10	ნაძალადევი
51	ბოიაჯიანი გაბრიელი	6	ჩერქეზიშვილის ქ. 145.
52	აკოპოვი არუთინი	4	ანიევის ქ. 3.
	მე-12-ე უბანი		
53	ტერ-მინასიანცი გასპარი	12	ელისაბედის ქ. 218.
54	ლაშიკიანცი სარქისი	3	დიდუბის ქუჩა.

უკრაინაში ჩატარდა სრულად. ქვეითი ჯარი უკვე დაბინავებულია ყაზარმებში. კავალერიის 60 პროცენტი უზრუნველყოფილია ბინით, ტექნიკური ნაწილების კი უზრუნველყოფილია 70 პროც. ბანდიტიზმს უკრაინაში აღარ აქვს ადგილი. ზოგიერთ ადგილებში ამოხეტიალე ბრბოებმა უკვე დაჰკარგეს პოლიტიკური ელფერი და მარტო ძარცვა-გლეჯას მისდევენ. უკანასკნელ თვეებში იყო შემთხვევები ბანდების პოლონეთის საზღვრებიდან ჩვენში შემოპარვისა, რომლებსაც დახმარებას პოლონეთის სამხედრო ხელისუფლება უწევდა. წითელ ნაწილებთან პირველ შეტაკებისათანავე ბანდები გაიფანტნენ და თავს აფარებენ პოლონეთის ტერიტორიას. უკრაინის მთავრობა ღებულობს ზომებს ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მივაღწიოთ ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობას. უკრაინის მსუბუქი მრეწველობა თანდათან ვითარდება და ზოგან აღწევს ომამდელ არსებულ ნორმას. მძიმე ინდუსტრია განიცდის მძიმე კრიზისს, რაც განსაკუთრებით საგრძნობი ხდება დონის მაღაროებში. ჩვენ ყოველგვარ საშუალებას მივმართავთ, რომ გამოვასწოროთ დონის მაღაროების საქმე. უკანასკნელ ხანებში „ზაბოიშჩიკის“ რიცხვმა ერთი ორად იმატა და მათმა შრომის ნაყოფიერებამ ომამდე არსებულ დონემდე აღწია. ნოემბერში ნახშირის ამოღებამ იმატა 29 მილ. ფუთით. უკრაინის ლითონის წარმოება განიცდის მძიმე კრიზისს. რამოდენიმე ათეულ დიდ ქარხნებიდან მუშაობს მხოლოდ ორი. შაქრის წარმოება თანდათან ვითარდება. შაქრის მსხვილი ქარხნები უკვე შეკეთებულია და მუშაობენ. მიმდინარე წელში უკრაინა ამზადებს 10 მილ. ფუთ შაქარს. უკრაინის სოფლები და მუშები მზად არიან აქტიურად დაუჭირონ მხარი საბჭოთა ხელის ფულებს. დათესილ მიწების სივრცემ თვალსაჩინოთ იმატა. უახლოეს დროში ეს მომატება მიაღწევს 50—60 პროცენტს. სწარმოებს დიდი მუშაობა სამოქალაქო ომით დანგრეულ კიევის, ხერსონის და ეკატერინოსლავის აღსადგენად. ყველაზე უფრო მძიმე პირობები გამომთელებულია.

უცხოეთში

ჰაეროპლანი უავიატოროთ.

საფრანგეთში მოახდინეს ახალ ჰაეროპლანების უავიატოროთ აფრენის ცდა. ჰაეროპლანი ფრინავს ელექტრონის ნაკადის საშუალებით. ამგვარად კაცი ზის მიწაზე და ამოძრავებს ჰაეროპლანს. ცდა მოახდინეს საფრანგეთის ქალაქ მარსელში.

ჰაეროპლანი, რომელიც გაშვებულ იქნა საინჟინერო სადგურიდან, ნელ-ნელა აფრინდა ჰაერში და გააკეთა რა იქ რამდენიმე ფართო წრე, ისევ ნელა დაეშვა დაბლობზე. ახალი გამოგონება უსათუოდ დიდ როლს ითამაშებს საავიაციო საქმეში.

სურათების გადაცემა ტელეგრაფის საშუალებით.

ჯერ კიდევ ომამდე სწარმოებდა მუშაობა, ტელეგრაფის საშუალებით სურათების, ავტოგრაფების და ფოტოგრაფიების და სხვათა გადასაცემად. ომის დაწყების წინ პროფესორმა კორნმა გამოიგონა ახალი საშუალება, რომლის შეწყობით შესაძლებელი გახდა ტელეგრაფის მავთულით და აგრეთვე უმავთულო ტელეგრაფით სურათების გადაცემა.

ამერიკიდან ევროპაში სურათების გადაცემის პირველი ცდა უნდა მომხდარიყო სან ფრანცისკოს მსოფლიო გამოფენაზე.

მაგრამ უეცრად დაწყებულმა ომმა ხელი შეუშალა საჭირო აპარატის მიწოდებას და პროფ. კორნის აღმოჩენის პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც იტალიის მთავრობამ პროფ. კორნი რომში მიიწვია რომის რადიო სადგურზე მისი აპარატის დასადგმელად. ცდა შესანიშნავი შედეგით დამთავრდა. მთელი რიგი სურათებისა გადაცემულ იქნა უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით იმ გემებზე, რომელნიც შუა ზღვაში იდგნენ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო.

კლუბი. აზერბეიჯანის კულტუ- გახსნა მარქსის და ენგელსის სახელობის პარტიული კლუბი.

საკრედიტო კოოპერაცია. აზერბაიჯანის სახ. ბანკის კოლეგიამ მოიწონა მოხსენება აზერბაიჯანში საკრედიტო კოოპერაციის დაარსების შესახებ. მოხსენების ძირითადი დებულება ეხება საკრედიტო კოოპერატივების დაარსებას ნორმალური ტიპის წესდების საფუძველზე.

აზერბეიჯანი და რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკება. მოსკოვში სპეციალურ მომხსენებელთან ერთად იგზავნება მასალები რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების გამომმუშავებელ კომისიისათვის. ეს მასალები აშუქებს აზერბეიჯანის ინტერესებს მომავალ ხელშეკრულებაში საბჭოთა ფედერაციის და აზერბეიჯანის შორის.

ზამთრის ნათესები. აგდაშის მაზრაში თესვა გრძელდება. დაახლოებითი ცნობებით წელს დათესილი იქნება 25 პროცენტით მეტი ვინემ წარსულ წელს. პურის ჯეჯილები საუკეთესოა. მაზრაში მოწყობილია სანიმუშო მინდვრები.

სომხეთი

რესპუბლიკების კავშირი.

ერევანი, 21 დეკემბერი. 20 დეკემბერს ერევანში დაბრუნდნენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის დელეგატები. დელეგატების ნაწილი სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ამბარცუმიანის და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლუკაშინის მეთაურობით გაემგზავრა მოსკოვში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

კოოპერაცია. სომხეთის კოოპერატივთა კავშირის რეკონსტრუქციის და მისი მთლიან მუშათა კოოპერატივთან შეერთების შემდეგ, გაერთიანებული კოოპერატივთა მართველობა შესდგება 9 კაცისაგან.

შეშა. თანახმად საექიმო-სანიტარო მუშაკთა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შორის მომხდარ შეთანხმებისა, ჯანმრთელობის კომისარიატმა უნდა შეიძინოს 4.000 საჟ. შეშა კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლად. შეშა უნდა დაურიგდეს მუშა-მოსამსახურეთ ჯამაგირის ანგარიში და ფასის გადახდა უნდა მოხდეს სამი თვის განმავლობაში.

საქართველო

ბათომი.

მანუფაქტურა. აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მოვიდა რუსეთის მანუფაქტურის დიდი პარტია, რომელიც განაწილებულ იქნება სახელმწიფო დაწესებულებებსა და პროფკავშირების წევრთა შორის დაკლებულ ფასებში.

წყალსადენი. აჭარის სახ. კომისართა საბჭოს განზრახული აქვს ქალაქსა და სოფლებ შორის წყალსადენის გაყვანა. სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის მიერ შედგენილია პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

საყვარელო ბავშვებო

მოახლოვდენ დღესასწაულები; რამდენ ბედნიერებას მოელით თქვენ მათგან. რა სიხარული და სიამოვნება იქნება თქვენ „შობის ხეზე“ რამდენ ალერსს, სიყვარულით გამთბარ ალერსს მიიღებთ თქვენ ამ დღეებში მშობელთა და ნათესავთაგან. მაგრამ მოვიქცეთ ისე, რომ თქვენი პატარა გული უჩვეულოდ სცემდეს, თქვენი უმანკო სახე უჩვეულოდ ბრწყინავდეს.

პაწაწინებო, აქამდის თქვენი მახლობელნი თქვენს დღესასწაულებზე ზრუნავდენ ეხლა კი თქვენ მოიგონეთ და იზრუნეთ სხვა ბავშვებზე, გაიხსენეთ ტფილისის მაზრის უპატრონო ბავშვები მშიერნი, მწყურვალნი, ტიტველნი და უნათესაონი შეკრებილნი „კამოს“ სახელობის ბავშვთა თავშესაფარში. არ ყავთ მათ მშობლები, არა ყავთ მათ ნათესავნი, მათ არ იციან დედის ამბორი, არ იციან მშობლიური მოფერება, ამიტომ ყოველი თბილი სიტყვა, ყოველი მცირე საჩუქარი მათთვის ძვირფასია.

ახალწლის 1-ლ დღეს ტფილისის მაზრის აღმასკომი აწყობს საბავშვო სპექტაკლს. შემოსავალი, თავშესაფრის ბავშვებს მოხმარდება და მათთვის ც მოეწყობა „შობის ხე“.

საყვარელო ბავშვებო, მიიღეთ მონაწილეობა, მოიტანეთ მათთვის მცირე საჩუქარი, რითაც სიხარულით აღავსებთ უპატრონო ბავშვთა გულს და თქვენც ბედნიერებას და სიამოვნებას პოვებთ ამაში.

საორგანიზაციო ბიურო.

შემოწირულება მიიღება და ბილეთები იყიდება ელისაბედის ქ. № 14.

პარტიული ცხოვრება.

ახალციხე

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშები)

ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის პირველი რაიონი. პარტიული ორგანიზაცია რაიონში გაწმენდის შემდეგ შემცირდა 135 კაცით ანუ რაიონული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 24,9 პროცენტით.

გამორიცხულთა დანაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულები (გაწმენდის ინსტრუქციის § 10 თანახმად)—40 კაცი, გამორიცხულია სავსებით 87 და დროებით გამორიცხული—8. ამ რიგად მექანიკურად გამორიცხულები შეადგენენ 34,2 პროც. გამორიცხულები 59,8 და დროებით გამორიცხულები—6,0 პროც. გამორიცხულთა დანაწილება მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით ამ გვარია:

	გამორიც.	დრ. გამორ.	მექ. გ.	სულ
მუშები . .	49	5	28	82
ხელოსნები	6	—	5	11
გლეხები .	5	—	1	6
მოსამ. და სხ.	27	3	6	36
სულ .	87	8	40	135

თვითეულ სოციალურ ჯგუფში პარტიულ რიგების შემცირება პროცენტულად ასეთია: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშები—25,4, ხელოსნები—27,5, გლეხები—31,6 და მოსამსახ. და სხვ.—22,6 უმეტესი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ ხელოსნებმა, შემდეგ მუშებმა და ბოლოს მოსამსახურეებმა და ინტელიგენტურმა ელემენტებმა.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. როგორც არა-კომუნისტი, საეჭვო და არა-საიმედო ელემენტი—9, მექრთამეობისათვის—3, ყოფ. პოლიციელობისა და თეთრებთან სამსახურისათვის—3, ძალა უფლების ბოროტად გამოყენებისათვის—2, ბანდიტიზმისა და ქურდობისათვის—2, გაწმენდაზე დაუსწრებლობის გამო—2, პარტიული სტაჟის გადამეტებისა და ყალბი ჩვენებისათვის—8, კარიერიზმის, პირადი სარგებლობის მიზნით პარტიაში შემოპარვის გამო—4, ლოთობის, უპასუხისმგებლობის და უდიერი მოპყრობისათვის—13, ნაციონალიზმისა და შოვინიზმისათვის—1, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თვითმომარაგებისათვის—3, ბიუროკრატიზმისა და სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის—4, სპეკულიაციისა და ვაჭრობისათვის—3, პარტიულ დავალებების აუსრულებლობისა და პარტ. დისციპლინის დარღვევისათვის—19, პასიური წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი)—19, სულ 95, მექანიკურად გამორიცხულები—40.

ცენტრალური გამწმენდი კომისია.

პარტიული მუშაობა ბათომის ოლქში ნოემბერში.

ამ ბოლო დროს ბათომის ორგანიზაცია იმყოფება წინსვლისა და მუშაობის გაძლიერება-ამაღლების პერიოდში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდა გენერალური პერეგისტრაცია ბათომის ორგანიზაციისა.

დიდი ენტუზიაზმით და თანაგრძნობით შეხვდა ბათომის პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი მასსა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირს. საორგანიზაციო-საინსტრუქციო კოლეგიას ქონდა საანგარიშო თვეში 4-ხი სხდომა; პარტკომს კი-4. ოლქს ესტუმრა ერთხელ საქ. კომპარტიის ცეკას წევრი და ერთხელაც ამიერ-კავკასიის საოლქო პარტკომიტეტის წევრი. ცეკიდან მიღებულია 8 ცირკულიარული და საინსტრუქციო წერილები. მიღებულია ზომები პარტამხანაგებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. უჯრედებს დაეგზავნა ინსტრუქციური წერილები—3. საქალაქო კრებები იყო 3. დასწრება მათზე გამოიხატებოდა 90 პროც. განზრახულია მომავლისათვის მუშათა ფართო კონფერენციების მოწვევა. საანგარიშო თვეში ჩატარებულია კამპანიები: 1 ოქტომბრის რევოლიუციის 5-თი წლის თავი და კომინტერნის მე-4 კონგრესი, 2. რუსეთის ახ. კომკავშირის მე-5 ყრილობის შედეგები, 3. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე, 4. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე, 5. რუსეთ-კავკასიის საექციონერო საზოგადოებაზე და 6. საბჭოთა პარტსკოლისათვის კურსანტების შეკრებაზე.

განსაკუთრებული ელფერით ჩატარდა კამპანია ოქტომბრის რევოლიუციის 5-თი წლის აღსანიშნავათ. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მთელი ბათომის პროლეტარიატმა. 11 ნოემბერს დიდი ზეიმით გახსნილ იქნა საბჭოთა პარტსკოლა, რომელშიაც უკვე სწარმოებს მეცადინეობა. შემოღებულია აგრეთვე ტანვარჯიშობაც (გიმნასტიკა). კურსანტები უზრუნველყოფილნი არიან ტანისამოსით, მასწავლებელთა შემადგენლობა სასურველია და თვით სკოლაც საკმაოდ უზრუნველყოფილია მატერიალურად. პარტამხანაგებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ პირველ საფეხურის სკოლებმა უკვე დაამთავრეს თავისი მუშაობა. სკოლის დამთავრებისას მოწყობილ იქნა გამოცდა, რომლის შედეგები დამაკმაყოფილებელია. იხსნება ახალი სკოლები, ამავე მიზნით, კომკავშირისათვის ქართულ და რუსულ ენებზე. უფრო სუსტად მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უპარტიოთა შორის. გადაწყვეტილი იქნა მოეწყოს ერთი მუდმივი სკოლა, სადაც მეცადინეობა იწარმოებს კვირაში სამჯერ, იმ პირობით, რომ ამ სამ დღეებში ყველა დაწესებულებებში მუშები განთავისუფლდენ სამი საათით ადრე. უმაღლესი ტიპის სკოლისთვის მოსამზადებლად, გადაწყვეტილია მოეწყოს დაწესებულებებში წრეები, მათი პოლიტ. მომზადების მიხედვით.

სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციას. პარტკომის მიერ დამუშავებული გეგმის თანახმად მოწყობილი იქნება შემოწმება მთელი ორგანიზაციის პარტწევრების პოლიტ. მომზადების გამოსარკვევათ. ეწყობა მარქსისტული წრე, ცოტათ თუ ბევრად პოლიტიკურად უკეთ მომზადებულ პარტამხანაგებისაგან. მიღებულია ზომები მეთოდიური წრის მოსაწყობად. არსებობენ აგრეთვე წრეები უჯრედებთანაც, მათი რიცხვი უდრის 4 ს.

ბეჭვდითი ორგანოები გამოდის წინა ანგარიშებში ნაჩვენები წესით, გარდა მუსულმანური გაზეთისა, რომლის გამოცემა შეჩერდა შესაფერ მომუშავეების უქონლობის გამო. პარტკომი ენერგიულ ზომებს იღებს უკანასკნელი გაზეთის გამოცემის აღსადგენათ. საერთოდ, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პრესის გაძლიერებას, მისი მასებთან დაახლოებას. პარტკომის საგიტპროპ განყოფილებასთან არსებულ კომ რედებისა და მუშ. კორესპოდენტების რიცხვიდან მოწყობილ იქნება მოკლე ვადიანი კურსები მუშა-კორესპოდენტების მოსამზადებლად. არსებობს მჭიდრო კავშირი მთავარ პოლიტ-განათლებასთან. პროფკავშირებისა და მუშების კრებები იყო ყველა კავშირისა და მუშების კრებები ერთხმად მიესალმენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. ძირითად კითხვებათ მომავლისათვის სააგიტ. პროპაგანდო განყოფილებას მიაჩნია: 1) გამორკვევა პერსონალურად ყოველი კომუნისტის პოლიტ. მომზადებისა მთელს ორგანიზაციაში, 2) გაძლიერება პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციო სკოლებში პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი ამხანაგებისა, 3) ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა პარტწევრებს შორის, 4) გაძლიერება პარტიულ გავლენისა პრესაზე და ფაქტიური ხელმძღვანელობა უკანასკნელზე, 5) გაძლიერება გავლენისა პროფკავშირებზე და კრიტიკით პ. კ. ს. განყოფილებაზე, 6) მოწყობა სტული და მეთოდიური წრეებ

„ჩემო“-ს საზოგადო კრება

20 დეკემბერს „ჩემო“-ს შენობაში შესდგა ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების წევრთა საერთო კრების 3 რიგითი სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. მოდებაძე, თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ამხ. გ. გ. ტარსკი, მდივნად ს. მ. მესხი

პ. მოდებაძის ხსოვნა

გახსნა რა სხდომა პ. ზოდე მიესალმა კრებას. შემდეგ მან სიათა საქართველოში შავი ქვის ველობის მძიმე მდგომარეობა, რ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამშეულთა დამხმარე

მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს საყურადღებოთ

იმ პირებს, ვალდებულ პირთა და დაწესებულებებს, რომლებზედაც ირიცხება გაუმართლებელი ავანსები და ვალები,

აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

საქ. დამშ. დამხმარე მთავარი კომიტეტი.
23 დეკემბერი, 1922 წ. ქ. ტფილისი.

დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
აღმასკომის ბინაზე დანიშნულია

ქალაქის აღმასკომის მორიგი სხდომა

ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.
(კრ. 762 3—3) მდივანი ხუნდაძე.

ორშაბათს, 25 დეკემბერს
საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგება
ქალ. ტფილისის საბჭოს პლენუმის

მორიგი სხდომა

ყველა ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თავის დროზე.
(კრ. 771 2—1) მდივანი ხუნდაძე.

თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საადგილ-მამულო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 25 დეკემბერს დილის 11 საათზე მისგან დანიშნულია ს. დიღომში მდებარე შემდეგ საფონდო ბაღების იჯარით გაცემის საჯარო ვაჭრობა:

№№ რიგ.	ბაღების სახელწოდება.	სივრცე.	ფასი [illegible]
1	დოლუხანოვის ხეხილის ბაღი	4 დღს	80
2	თამამშოვის	3 ნახ. „	50
3	სარაჯიშვილის	3 ნახ. „	80
4	მანველაშვილის	ნახ. „	15
5	მიასნიკოვის	1 „	30
6	მუხრანსკის დადიანისეული	1 „	40
7	გრიგოლ მუხრანსკის	1 ნახ. „	50
8	მამუჩაიშვილის	1 „	20
9	არჩილ მუხრანსკის	1 ნახ. „	—
10	ესტატე მუხრანსკის	2 ნახ. „	85
11	თეთრეული	ნახ. „	—
12	ალექსანდრე მუხრანსკის	7 „	180
13	მუხრანსკის ზვარი	10 „	100
14	მუხრანსკის „ნინაური"	6 „	75
15	მუხრანსკის „ვაშლიჯვარი"	6 „	100
16	ესტატე მუხრანსკის „ქვეით ვაშლიჯვარი"	7 ნახ. „	75

დაწვრილებითი პირობა იჯარით აღების მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ყოველ დღე დილის 9—3 საათზე განყოფილების კანცელარიაში (ელისაბედის ქუჩა № 14).

განყოფილების გამგე ხუბაშვილი.
(695—1—1) მდივანი ბ. [illegible].

ლიც გამოწვეულია ევროპისაგან ხანგრძლივ მოწყვეტით და შავი ქვის მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციების დაკარგვით. ამ ჟამად არსებულ შავი ქვის გაზიდვის ციფრს ჯერ არ მიუღწევია უკანასკნელი ათი წლების გაზიდვის საშუალო ნორმამდე. საგარეო ბაზრებზე მდგომარეობა რთულდება იმით, რომ საზღვარ გარეთ აღმოაჩინეს შავი ქვის ახალი მადნები.

უკანასკნელი და ყველაზე უფრო მძიმე ლახვარი შავი ქვის წარმოებას ნიადაგმა ჩასცა: წყალმა წაიღო შავი ქვის მთები, მათ ადგილზე დარჩა მხოლოდ ყვითელი ქვიშა.

მაგრამ ა. მოდებაძეს იმედი აქვს, რომ ყველა ეს დაბრკოლებანი გადალახულ იქნება.

ვარაზაშვილის სიტყვა.

შემდეგ გამოვიდა „ჩემო"ს საბჭოს თავმჯდომარე ის. ვარაზაშვილი. მან დაასურათა შავი ქვის მრეწველობის ყველა მტკივნეული საკითხები. მიესალმა რა კრებას ორატორმა სთქვა:

— „ეს პირველი მორიგი კრება— ჩვენი გამარჯვებაა. ის მოწმობს, რომ ჩვენი მეურნეობის უმთავრესი, ყველაზე უფრო დიდი დარგი შენარჩუნებულია.

„ჩემო" დაარსდა გარდამავალ ხანაში, როდესაც ძველი წყობილება ვეღარ უძლებდა რევოლუციის შემოტევას და ინგრეოდა, ყველა ღირებულებათა ახლად შეფასების ხანაში რევოლუციამ გააცამტვერა ყველა ძველი ნორმები, ახლები კი მხოლოდ მუშავდებოდა. ახალი საფუძვლების და ნორმების ფორმაში ჩამოყალიბებით, რასაკვირველია, მდგომარეობა გაუმჯობესდა. ქვეყნის საზღვარ გარეთ გასაზიდათ დაარსდა ახალი ტიპის ორგანიზაცია.

ორატორი შეეხო აგრეთვე მუშათა საკითხს ჭიათურაში, შავი ქვის თვითღირებულებას, ფრახტს და სხვა საკითხებს.

„თქვენ თვალის წინ ინგრეოდა და იღუპებოდა მსხვილი სამრეწველო წარმოებანი და ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენ არა თუ არ დავკარგეთ ჩვენი მიშენილობა, არამედ გავაცანით ჩვენი თავი მთელ ქვეყანას. სახელი „ჩემო" ნაცნობია პარიზისთვის, ლონდონისთვის, ბერლინისთვის და ევროპის ყველა სამრეწველო ცენტრებისთვის—ამაშია ჩვენი გამარჯვება.

შემდეგ ორატორი ესალმება დაწესებულებების და უწყებათა წარმომადგენლებს, რომელნიც მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან საქართველოს შავი ქვის მრეწველობასთან და გამოთქვამს იმედს, რომ ყოველგვარ უთანხმოებას, თუ ასეთი არსებობს, ბოლო მოეღება, რადგან „შავი ქვის საქმის გამარჯვება არის თვით სახელმწიფოს გამარჯვება".

კრების საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ არიან სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და წევრები.

ბაქრაძის სიტყვა.

შავი ქვის მრეწველობის ყრილობას საბჭოს სახელით ესალმება ამხ. ბაქრაძე.

„გაერთიანებული სინდიკატის შექმნის იდეა ჩაისახა ჯერ კიდევ 10—12 წლის წინად. მაგრამ ძველი მეფის მთავრობა მტრულად [illegible] განწყობილი საქართველოს მრეწველობის მიმართ და შუამდგომლობაზე უარს გვეუბნებოდნენ. რევოლუციამ შექმნა ეს სინდიკატი, გააერთიანა რა მუშაობა შავი ქვის მრეწველობის შიგნით და მის გარეთ უცხოეთის ბაზრებზე. რევოლუციამ მოგვცა ჩვენ დასაყრდენი საფუძველი. ეს შემოქმედებული—მთავრობის დახმარება და მთავრობაზე დაყრდნობით, ჩვენ ადვილად დავიპყრობთ საგარეო ბაზრებს.

მისალმება სახ. კომისართა საბჭოსაგან.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის სახ. კომისართა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კ. ს. მოდებაძე, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს იხსნება „ჩემო"-ს შავი ქვის მრეწველთა პირველი საერთო კრება. ერთ დროს ბევრს ეგონა, რომ „ჩემო" აღარ იარსებებს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას, ამას რასაკვირველია არ დაუშვებდა. არც ერთი ხელისუფლება ისე არ უფრთხილდება მრეწველობას, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. და ეს მისი ხვედრია, რადგან შავი ქვის მრეწველობა ერთად ერთი მსხვილი მრეწველობაა საქართველოში, ის საჭიროა სახელმწიფოსთვის, როგორც ვალუტურ რესურსების მიმწოდებელი.

„მაგრამ მთავრობა გიწევთ რა თქვენ დახმარებას,—ამბობს ორატორი,—თავის მხრივ თქვენგან მოითხოვს ყოველ მხრივ ხელის შეწყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მიზნები შეიძლება სხვა და სხვა იქნეს".

მისალმება შრომის კომისარიატისაგან.

შრომის სახ. კომისარიატის სახელით გამოდის ამხ. მიქაძე. ესალმება რა კრებას, ის არკვევს სამუშაო ხელფასის დაწესების საფუძველს.

„ჩვენი შრომის პოლიტიკა განვითარების სრულ საშუალებას აძლევს მრეწველობას, აწესრიგებს რა შრომის და მეწარმეებელთა ურთიერთობას. სამუშაო ხელფასის დაწესების დროს შრომის სახ. კომისარიატი მხედველობაში იღებს მრეწველობის მდგომარეობას და მის ძალას. კონფლიქტები მუშებსა და მეწარმეებს შორის ყოველთვის შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს საკონფლიქტო კომისიის მიერ, რომელსაც შეუძლია თავისუფლად მიმართონ, როგორც მუშებმა ისე მეწარმეებმა. კოლექტიური ხელშეკრულების შედგენის დროს ჩვენ ვიყრდნობით სამუშაო ხელფასის მინიმუმს და ამიტომ ამ სფეროში საჩივრები სრულიად უსამართლოა".

2 საათზე სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა შესდგება 23 დეკემბერს.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე

ბაზარი თანდათან მშვიდდება. დღითი დღე ეცემა ფასები ყველა საქონელზე. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით დაეცა ფასი ყუბანის და ადგილობრივ ფქვილზე და აგრეთვე ადგილობრივ მარცვლეულზე. დაიკლო აგრეთვე ნავთის, შაქრის და ბრინჯის ფასმა. ფასი უცვლელია შაქრის ფხვნილზე. ძლიერ გაძვირდა ჩაი. ბითუმად ვაჭრობა სრულიად არ არის, წვრილ წვრილად ყიდველი გამყიდველი თავის მოხმარებისთვის [illegible] ფასებს საქონელზე. „სიონ ფრონსის"-ის ჩაი გირვანქა ღირს 700-დან 1200 მანეთამდე. ბაზარზე ბევრია რუსული ბამბეულის მანუფაქტურა, მაგრამ ფასები მეტად დიდია. ცოტათი გაიაფდა, უცხოეთის ვალუტის კურსის შემცირების გამო, საზღვარ გარეთის მანუფაქტურა. გაძვირდა რუსული ასანთი, რომელსაც ბითუმად გაყიდვის დროს რატომღაც ინგლისის სტერლინგებით აფასებენ. დღევანდელი ფასები შემდეგია (ბითუმად) ამერიკული ფქვილი უმაღლესი ხარისხის „ნელსონი" ფუთი 1400, მე 2-ე ხარისხი—1200. ადგილობრივი ხორბლის ფქვილი 350 360 სიმინდის ფქვილი 170—180. ადგილობრივი ხორბ. 320—330 ქერი 210—220 სიმ.ნ 160—170 ლობიო 240—250. ყუბანის ბრინ. ფუთი 1000 ჰოლანდიური ნავთი შაქარი ყუთი 3 ტომარი—11000. შაქრის ფხვნილი ფუთი 3000, სახალხო ბანკის და ამიერ-კავკასიის საბჭოთა განყოფილების ფასები—1800. კახური ღვინო უმაღლესი ხარისხის ვედრო—600. ნარმა ს. ს. ს. ნავთი 40 იარდი 7400—8300 ნარმა რუსული არშინი 110—115. ინგლისური შევიოტი № 3001 მეტრი—8 ოსმალური ქაღალდის ლირა. უბრალო შევიოტი მეტრი—4—6 ოსმალური ქაღალდის ლირა, რუსული მადაპოლამი არშინი 130—160. საზღვარ-გარეთის მადაპოლამი იარდი 170 და მეტი. ნავთი 400. მარსელის საპონი ყუთი 50 კილო—25—26 ოსმ. ქაღ. ლირა. გაზეთის ქაღალდი ფუთი—7 ოსმალური ქაღალდის ლირა, ნახშირი—80 მაგარი კუბიკური საჟენი 12 ვერშოკი—7.000.

ტფილისის ფულის ბაზარი.

ოქროს ფასი მნიშვნელოვნად კლებულობს. მოთხოვნილება არის მხოლოდ სახელმწიფო ბანკში. [illegible] ბანკი რუსულ ოქროს ყიდულობს 2900 ათასად და ჰყიდის 3 მილ. 15 ათასად. ერევნის ბაზარზე ოქროს 10 მანეთიანი ღირს 3150—3250 ათ. გრ. სტერლინგი (ბანკნოტი) 2400—2550 ათ. „ჩეკო"ს ჩეკი—2150 ათ. დაეცა დოლარის კურსი. მნიშვნელოვნად დაეცა საბჭოთა ნიშნები. საერთოდ არსებობს დაკლების ტენდენცია.

მდგომარეობა ბირჟაზე.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 21 დეკემბ. ბათომის ბირჟის ოფიციალური კურსი: ოსმალური ქაღალდის ლირა — 230—235.000 ქართული ბონით. 10 მან. ოქროს 2,300.000—2 481.000 მ. ქართული ბონით, საბჭოთა ნიშნები მილიონი —16.—18 000 ქართული ბონით. დოლარი - 175—180 გირ. სტერლინგი 775—785. ოსმალური ოქროს ლირა—790 800 მ. 10 მ.ნ. ოქროს 1050—1060 მ. 20 ფრანი—230—240 მ. 20 ლირა იტ.—140 150 მ.

არაოფიციალური კურსი: ლირა დილით 250 000—260 000 პირველ საათისათვის 270.000—280.000.

ქრონიკა

◆ **პროტესტანტებისა და კათოლიკების უქმე დღე.** ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ 25 და 26 დეკემბერი არის პროტესტანტებისა და კათოლიკებისათვის უქმე დღეები (შობა), მისათვის ყველა წარმოებანი და დაწესებულებებს, როგორც სახელმწიფო ისე კერძოებს ეძლევათ ამ დღეებში სამუშაოდან გაანთავისუფლონ პროტესტანტული და კათოლიკური სარწმუნოების მაღიარებელი მუშა-მოსამსახურეები.

ქალაქის აღმასკომში.

— **ქალაქებში მიწად-მოქმედების მოწყობის შესახებ.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნალური მეურნეობის კოლეგიის დადგენილება თანახმად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დებულების ზოგიერთ მუხლების შესწორებისა ქალაქებში მიწად მოწყობის შესახებ, რომელიც გადაეგზავნება მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს დასტურის გამოსაცემად.

— **ვენერიულ ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსებული იქნეს კომისია ვენერიულ ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. კომისიას დაევალა სასწრაფოთ გამოიმუშაოს გეგმა ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის და წარმოადგინოს განსახილველად 3-ე დღეს.

— **ვაჭრობის ნებართვის გაცემის შესახებ.** პრეზიდიუმმა საბჭოთა ვაჭრობის ნებართვის გაცემის მოსაწესრიგებელ სავალდებულო დადგენილების შესწორება და დაადგინა: აღნიშნული სავალდებულო დადგენილება შესწორებულ იქნას შემდეგნაირად: ვაჭრობის ნებართვის მისაღებად სანიტარული მხრივ წინასწარ შემოწმებულ უნდა იქნან სურსათ-სანოვაგის საბჭოები, დანარჩენი საბჭოები კი რჩებიან შეუმოწმებლად.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში.

— **ბრძოლა ხეხილის მეურნეობის მავნებლებთან.** საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლად საბჭოთა მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლ მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე წარგზავნილია მავნებლებთან მებრძოლ ბიუროს გამგე ამხ. ნაგორნი და სპეციალისტი ამხ. სვირიდენკო.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში.

— **დეპეშის გადაცემის ახალი წესი.** ამიერ კავკასიის ფედერაციაში შემოღებულია დეპეშის გადაცემის ახალი წესი.

შრომის კომისარიატში

(შრომის განყოფილებების მუშაობა პროვინციაში)

ახალციხე

— **უმუშევართა აღრიცხვა.** ნოემბერში აღრიცხულ იქნა 22 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე 32, პირველ დეკემბრისათვის აღრიცხვაზე დარჩა 30 უმუშევარი.

— **ხარჯის გატარება.** ხარჯის აკრების მეორე პერიოდის სამუშაოები თითქმის სრულდება.

— **დახმარება.** განყოფილებამ ნოემბერში დახმარება მისცა უმუშევრებს 20 მილიონამდე. განყოფილებას აგრეთვე ჰყავს [illegible] პენსიონერი ერთი. კონფლიქტებს და შრომის დაცვის კანონების დარღვევას ადგილი არ ქონია.

ახალქალაქი.

— **ხარჯის საშუალებით მოხმარებულ დღეების რაოდენობა.** ახალქალაქის შრომის განყოფილებამ ხარჯის საშუალებით გამოიყენა და სხვა და სხვა სამუშაოებისათვის მოახმარა 972 ტვირთმზიდავი დღე და 120 შრომის დღე. [illegible] მიეცა 663 მუშა და ტვირთმზიდავი დღე. დანარჩენი მოხმარებულ იქნა ადგილობრივ საჭიროებისთვის.

გორი.

— **კონფლიქტები.** გორის შრომის განყოფილებაში ნოემბერში შემოვიდა 12 კონფლიქტი, გაირჩა 10, ათივე მუშების სასარგებლოთ.

— **უმუშევრები.** ნოემბრის განმავლობაში აღრიცხულ იქნა 60 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 31 უმუშევარი.

— **ხაშური.** ამავე განყოფილების ხელმძღვანელობით ხარჯის წესით მოხმარებულ იქნა 2630 მუშა დღე და 1830 ტვირთმზიდავის დღე.

— **დაჯარიმება შრომის დაცვის** კანონების დარღვევისათვის განყოფილებამ დაჯარიმა სამი კერძო წარმოება.

აღმოსავლეთ საქ. რევ-ტრიბუნალში.

— **დეზერტირების გასამართლება** 25 დეკემბერს, აღ. საქართველოს რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია, 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის წითელ არმიელის ნიკო ბუზალაძის და არსენალის სათადარიგო გუნდის წითელ არმიელის იასონ თხლაშაძის საქმე რომლებსაც ბრალდებათ გაუწორებელი დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გატაცება ყაზარმებიდან.

— **თანამდებობის დროს უწესოებისათვის.** ამავე რევტრიბუნალის 30 დეკემბრის სხდომაზე გაირჩევა საქმე [illegible] მილიციის უფროსის ალექსანდრე ივანეს ძე [illegible]შვილის, მისი თანაშემწის სევერიანე ალექსანდრეს ძე ჩაჩავასი და აღნიშნულ მილიციის თანამშრომლის ნიკოლოზ ბეტის ძე ვართანიანცის, რომლებსაც ბრალდებათ სიმთვრალის დროს იარაღის სროლით სოფელში უწესოების მოხდენა და ერთი მეორეში ჩხუბი, რაც ხალხის თვალში სახელს უტეხს საბჭოთა ხელისუფლებას.

— **ბრძანების აუსრულებლობისათვის.** 25 დეკემბერს დანიშნულია რევტრიბუნალის სხდომაზე საქმე ქართული დივიზიის საინჟინერო ათასეულის სატელეგრაფო ასეულის წითელ-არმიელების გარეგინ ალექსანდრეს ძე ტერ-პეტროსოვის და ნოე გერასიმეს ძე რურუასი, რომლებსაც ბრალდებათ სამსახურის დროს აღნიშნულ ათასეულის უფროსის ბრძანების აუსრულებლობა და დისციპლინის არ დამორჩილება.

— **ამერიკულ კომიტეტის ვაგონის გაცარცვის საქმე.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა მიიღო საგანგებო კომისიის მიერ გადმოგზავნილი საქმე ამერიკულ კომიტეტის ვაგონის გაცარცვის შესახებ რომელსაც აქვს როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური დიდმნიშვნელოვანი ხასიათი და ნაშავენი გარდა ორისა დაპატიმრებულნი არიან. საქმის პროცესი დაიწყება ახლოხანში, რის შემდეგ დაწვრილებით იქნება გამოქვეყნებული საქმის შინაარსი

კრებები და მოხსენებები

◆ შაბათს 23 დეკემბერს სანიტარული განათლების აუდიტორიაში (ჩერქეზიშვილის ქ. № 108) ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა ჯანმრთელობის დაცვის სანიტარული განათლების განყოფილება მართავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პირის ღრუსა და კბილების ჰიგიენის შესახებ". ლექციას წაიკითხავს ქართულ ენაზე კბილის ექიმი ბერძენიშვილი. ლექცია დაიწყება საღამოს 6 საათზე. შესვლა უფასოა.

სხვა და სხვა.

— **აფთიაქის მუშების მეორე ყრილობა.** სრულიად საქართველოს აფთიაქის მუშების მეორე ყრილობა გაიხსნა 17 დეკემბერს, მუშათა სასახლეში. ყრილობას მრავალი საყურადღებო საკითხები აქვს გადასაწყვეტი, განსაკუთრებით პროფესიონალური ხასიათის. ყრილობა გაგრძელდება 5 დღეს.

— **სრულიად საქართველოს ინჟინერთა ყრილობა.** უკვე დამთავრდა სრულიად საქართველოს ინჟინერთა ყრილობა. ყრილობაზე სხვადასხვა საკითხთა შორის დასმული იყო საკითხი საქართველოს წარმოებათა დაუმჯობესების შესახებ. მოხსენებით გამოირკვა, რომ ეს საქმე სავალალო მდგომარეობაშია, რაშიაც განსაკუთრებულ ნაყოფიერი მუშაობა მიუძღვის მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

— **ამერიკული სასადილოების [illegible] გახსნა.** ამერიკის ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნების დამხმარე კომიტეტის დირექტორისაგან ნებადართულ იქნა, რათა ხელახლად გახსნილ იქნას ხსენებულ კომიტეტის ყველა სასადილოები, თავშესაფარები და დაწესებულებები საქართველოში, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებთან უთანხმოების გამო დახურული იყო.

— **დახმარება.** ვერაგულად მოკლულ [illegible] ინსპექტორის გიორგაძის ქვრივს, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მისცა 25 მილიონი დახმარების სახით.

— **ახალი ჟურნალი.** საქართველოს ექიმთა საზოგადოებამ დაადგინა მომავალი წლის პირველ იანვრიდან გამოსცეს ჟურნალი ქართულ ენაზე შემდეგი სახელწოდებით: „საქართველოს საექიმო [illegible]".

◆ **კვების გამოკვლევა.** ქ. ტფილისის მცხოვრებთა კვების გამოკვლევა 21 დეკემბერს უკვე დაიწყო; განყოფილების აგენტები თანამშრომლებით ხვდებიან. მუშაობა ნორმალურად მიდის და როგორც [illegible] დასრულდება კვირას 24 დეკემბერს.

— **დასახიჩრებულთა კავშირში.** დაინიშნა კომისია, [illegible] საბჭოთა კომისარიატის კომუნისტური პარტიის 2 რაიონულ კომიტეტის და კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც ამ დღეებში შეუდგება დასახიჩრებულთა კავშირის გაწმენდას და რეორგანიზაციას.

— **მუშა ქალთა ჟურნალი.** 1923 წლის იანვრიდან გამოვა, ქართულ ენაზე ორ თვეში ერთხელ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალის მორიგი პირველი ნომერი, „ამიერ კავკასიის მშრომელი ქალი". ეს ჟურნალი გამოდის ქართულ-სომხურ და თათრულ ენაზე. საქართველოს მშრომელ-ქალთა წრეებს ვთხოვთ დაეხმარონ ჟურნალს, როგორც წერილების მოწოდებით ისე მისი გავრცელებით.

სასურველია საქართველოში მცხოვრებ მშრომელთა ავ-კარგის შესახებ მასალა, მკაფიოთ შედგენილი წერილები. ქართულისათვის ქართულად, სომხურისათვის სომხურად და სხვ. რედაქციის მიერ მოწონებულ წერილებში მიიღებენ გონორარს. დაწუნებულ წერილებს რედაქცია [illegible] უკან დაუბრუნებს ავტორს. რედაქციის მისამართი: პეტრე დიდის ქუჩა № 8 ქალთა განყ.

მუშათა ცხოვრება

მეოთხე რაიონის დელეგატ ქალთა კრება

სამშაბათს 19 დეკემბერს, შედგა მეოთხე რაიონის ქალთა განყოფილების მორიგი სადელეგატო კრება.

დაესწრო 33 მუშა ქალი ფაბრიკიდან, კავკასიის ცალკე არმიის სამკერვალო სახელოსნოდან, საავადმყოფოდან, სახალხო კვებისა და სახალხო დამ. კავშირებიდან. სახალხო კვებისა და სახალხო [illegible] კავშირიდან ვერ დაესწრო მორიგეობის მიზეზით რამოდენიმე დელეგატი ქალი. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები: ჟურნალის „ამიერ-კავკასიის მუშაკი ქალი"-ს და „პატრიარქალურ საზოგადოების" შესახებ.

სადელეგატო კრება გახსნა ამხ. გოლუბევამ, რომელიც მოუწოდებდა მუშა ქალებს, რათა იმათმა გამოიჩინონ უდიდესი აქტივობა ჟურნალისათვის („ამიერ-კავკასიის მუშაკი ქალი") მასალების მიწოდებაში... „რაზედ შეუძლია სწეროს მუშა ქალმა" —ყველაფერზე, თავის ცხოვრებაზე, იმ დაწესებულებაზე, სადაც ის მუშაობს, თავის მდგომარეობაზე, საკუთარ პირობებზე, თავის განცდებზე, შთაბეჭდილებებზე და საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაზე. ჟურნალში უნდა გამოკრთოდეს ბნელი ცხოვრება, ადგილობრივი ზნე ჩვეულებანი, ხოლო ეს განხორციელებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მუშა ქალები [illegible] მასალის მიწოდებას.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. გოლუბევას მოხსენება „პატრიარქალურ საზოგადოების" შესახებ.

მოხსენებამ გამოიწვია დიდი ინტერესი მუშა ქალთა შორის, განსაკუთრებით ისინი დაინტერესდა ქალთა მდგომარეობით პატრიარქალურ ეპოქაში და რელიგიის გაჩენით. იყო შეკითხვები, რა არის სული? მართალია, რომ სულიც იწვევს ადამიანის მოძრაობას? რა არის სიკვდილი? და ბევრი სხვა საკითხები.

შემდეგი სადელეგატო კრება დანიშნულია სამშაბათს, საღამოს 6 საათზე.

თამბაქოს ფაბრიკა როზა ლიუქსემბურგის სახელობისა

ეს ფაბრიკა მდებარეობს ვაკზლის ქუჩაზე. მასში დაბანდებულია დიდძალი მუშა ხელი. სამუშაო ოთახი საკმაოდ სრული და სინათლიანია. შენობაში დაცულია სისუფთავე. მუშები ჩაცმული არიან კოხტათ და სუფთათ. მუშები თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ და დიდათ დაინტერესებულნი არიან ფაბრიკის აღორძინებაში. ფაბრიკის ქონებას დიდი მზრუნველობით ეკიდებიან. მატერიალურათ მათი მდგომარეობა ძლიერ კარგია. ჯამაგირს ყოველთვის დროზე იღებენ. ერთად ერთი საზრუნავი და სადარდო აქ მუშებისა ბინის საკითხია. ნაწილი მუშებისა ცხოვრობს მუშათა სახლებში, ხოლო ნაწილი კი ფაბრიკასთან არსებულ სახლებში. ფაბრიკასთან არსებული ბინა საცხოვრებლად ძლიერ ცუდია, ბინებში საშინელი სინესტეა და არც საკმაო სინათლეა. ბინები უეჭველად მოითხოვს რემონტს საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და ბინის საკითხი დროზედ იქნას მოწესრიგებული.

ამური.

ტერ-არუთინოვის ფეხსაცმლის ქარხანა

სახელოსნოში მუშაობს 6 მუშა, ამათში ორი მოზარდია. სახელოსნო სანიტარულ-ჰიგიენურ მხრივ ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. სამუშაო ოთახებში გამეფებულია საშინელი სიბინძურე. არავითარი წესრიგი არ არის, ოთახებში სიბნელეა, განსაკუთრებით შრომის დაცვის კანონები არ ტარდება ცხოვრებაში მოზარდთა მიმართ. ხაზეინი სარგებლობს მათი გაჭირვებული მდგომარეობით და ეწევა სასტიკ ექსპლოატაციას. მოზარდთათვის დაწესებული ნორმალური სამუშაო დრო ხაზეინისათვის არ არსებობს. კარგი იქნებოდა შრომის ინსპექტორი თუ შეიარს ამ სახელოსნოში და ტერ-არუთინოვის თავგასულობას საზღვარს დაუდებს.

X.

„კომუნას" ასეთი უნდა

[illegible] კარგათ მოეხსენება, რომ ტრამვაის მოსამსახურეებმა დავარსეთ „კომუნა" ბორჯომის მხარეში მეურნეობის დასამუშავებლათ. გვეგონა ამ გზით რამდენიმეთ მაინც გავაუმჯობესებდით ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ კომუნიდან ზარალის მეტი არაფერი გამოვიდა. მოწეულ სიმინდს თავისუფლათ გვყიდულობდა ის ფული, რაც ბანკში ჩავყარეთ. ჩვენმა შრომამ და ენერგიამ კი ამაოდ ჩაიარა. [illegible] დროს, ნაცვლად დაჯარიმებისა იქ ვმუშაობთ. „კომუნის" მეთვალყურეობა ახლაც [illegible] გვაწევს. ახლაც გვიჭრიან ჯამაგირიდან კომუნის რადგანც ხარჯებს. კარგი იქნება, თუ მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიაქცევს ამ საქმეს ყურადღებას და გამოარკვევს, ვინმეს ბოროტი ხელი ხომ არ თამაშობს ამ საქმეში რაიმე როლს.

ტრამვაელი.

საბჭოთა პირველი „კოლოფის" ქარხანა

საბჭოთა პირველი „კოლოფის" ქარხანა ეკუთვნის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მოთავსებულია „დიდი მთავრის" ქუჩაზე № 28. ქარხანაში მუშაობს 185 მუშა-მოსამსახურე: მუშა—168, მოსამსახურე—17; დედაკაცი — 105, მამაკაცი — 80. მათ შორის, გარდა 20 პირისა, რომელნიც ეკუთვნიან მოზარდ თაობას, ყველა სრულ წლოვანია.

მუშებს და ადმინისტრაციას შორის სუფევს ამხანაგური განწყობილება. კინკლაობასა და გაუგებრობას მათ შორის ადგილი არა აქვს. მუშები დიდის ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობიან აგრეთვე თავის ქარხნის კომიტეტს, როგორც მათი ნამდვილი სურვილის გამომხატველს და წარმომადგენელს.

გასამრჯელოს მუშები, საშუალოდ, ღებულობენ 4 მილიონ მანეთამდე, [illegible] ცალ პაპიროსით და ერთ ნაჭერ საპნით ყოველთვიურად. თვიური ჯამაგირების მიღება ხდება ნორმალურად. თვეში ორჯერ—15 და 30 რიცხვებში. ამის გარდა, თითოეულ მუშას წელიწადში ორჯერ ეძლევა სრულიად უფასოდ და საკუთრად ორი ხალათი. საზამთრო საჭიროებისთვის ყოველ მათგანს უფასოდ მიეცათ ერთი [illegible] საჟ. შეშა. შეღავათებით სარგებლობა მუშების მიერ ხდება წესიერად, ნორმალურად და რიგისამებრ.

რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა მეტად [illegible] კარგადაა დაყენებული. მუშათა შორის არ მოიპოვება [illegible] პირი, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა. ამის გარდა ქარხანაშივე მოთავსებულია პირველ დაწყებითი სკოლა მუშებისათვის, [illegible] ამ სკოლაში სწავლობენ ქართულ და რუსულ ენაზე. სკოლაში სწავლობს 30 მუშა. ქარხნის შენობაშივე არის მშვენივრად და კოხტად მორთული კლუბი რომელიც სასცენო ესტრადით, სადაც ყოველ კვირაში იმართება წარმოდგენები და საღამოები ადგილობრივ მუშათა ძალებით. მუშებს ძალიან უყვართ თავისი კლუბი და წარმოდგენებს [illegible] ესწრებიან. ქარხანაში არსებობს სხვა და სხვა გვარის სტუდიები: მუსიკალური, ხორეოგრაფიული, დრამატიული და სხვა. სტუდიებში მეცადინეობს 103 მუშა—ქალი და კაცი. არის აგრეთვე პოლიტიკური წრე, რომლის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ თვით მუშები.

ქარხნის შენობაში მუშებს აქვთ თავისი საკუთარი ფეხსაცმელების სახელოსნო და საპარიკმახერო, რომლებით სარგებლობენ სრულიად უფასოდ. ყველას ძალუძს უფასო [illegible].

ეხლა შევიდეთ ქარხანაში და ვნახოთ, რას წარმოადგენს იგი. ქარხანა მოთავსებულია ორ სართულიან აგურის შენობაში. პირველ სართულში მუშაობენ მამაკაცები, სადაც [illegible] სხვა და სხვა გვარი მანქანები, [illegible]. მეორე სართულში მოთავსებული არიან დედაკაცები. [illegible] და გულით დალაგებული. ქარხანას აქვს საკმაოდ სინათლე და ჰაერი. [illegible] შესაფერისი სისუფთავე.

ამ დაწესებულების ნორმალურად და გონივრულად განაწილების [illegible]. ყველას აქვს თავისი [illegible] საქმე. [illegible] ქარხანაში გაყვანილია ელექტრონის სინათლე. მუშაობა ქარხანაში წარმოებს რვა საათის განმავლობაში:—დილის 8 საათიდან—საღამოს 4 საათამდე, ამ ხნის განმავლობაში ხდება 70—75 ათას ცალი კოლოფის [illegible] საკმაოდ და [illegible]. ქარხანას მუშებისათვის აქვს [illegible] უფასო სადილი, რომლითაც სარგებლობს ყოველი მუშა [illegible] სამუშაო დღის ბოლოს.

მუშათა შორის არის შრომის გმირი—ამხ. [illegible], რომელიც დიდის [illegible] ყველა მუშა.

ყოველ ნაბიჯზე ქარხანა ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. ქარხანაში სრულებით დაცულია შრომის ყველა პირობები. მუშათა შორის სუფევს ერთსულოვნება, მეგობრობა და პროფესიონალური დისციპლინა. [illegible] შორის შედეგები სრულებით დაკმაყოფილებული და ხალისიანია.

გ. შ.

ხელოვნება

— **რუსთაველის თეატრი.** შაბათს, 24 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება მეორედ მიმდინარე სეზონში დავით კლდიაშვილის პიესები: „უბედურება" და „ირინეს ბედნიერება".

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** კვირას, 25 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მუშებისათვის ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე".

— **სახალხო სახლი.** კვირას, 24 დეკემბერს სახალხო სახლში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის პიესა „კაცის სიმართლე", წარმოდგენა წავა შალვა დადიანის რეჟისორობით.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, შაბათს 23 დეკემბერს პროფკავშირების წევრებისათვის, წითელ ლაშქრისათვის და უმაღლ. სასწ.-ულ. გაიმართება სპექტაკლი „აიდა", მონ. პეტლიაშ ბარილიოტი, აგრონოვსკი, საბანინი და სხ. ბილეთები [illegible] ორგანიზაციებში.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„რუსალკა" პეტლიაშ ბარილიოტის, სტრუჟნოვას, მალოვეცკას, ლევიცკას, სარაჯიშვილის და სხვათა მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—ქართული წარმოდგენა. ახალი თეატრი—ახალი ღმერთები და კონცერტი. სახალხო სახლი—გლაზუნოვის და ვალენსკის გასტროლი. მუშათა ცენტრალური კლუბი—უკანასკნელი გასტროლი სმირნოვ სოკოლსკის, [illegible] მონაწილეობით. მეფისტო—მ. ნ. გლადკოვის საღამო.

პროვინციაში

ოზურგეთის აღმასკომის განათლების განყოფილების მოღვაწეობა

გურია კულტურულ კუთხეთ ითვლება და ზედმიწევნით დაინტერესებულია სწავლა განათლების საქმეში; ეს აიხსნება იმით რომ ეს პატარა კუთხე, რომლის ტერიტორია სიგრძით მხოლოდ 60, სიგანით 30 ვერსით განისაზღვრება და რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული, დაახლოებით 100,000 მცხოვრებით, მოფენილია დღეს მრავალი სკოლებით და ქოხ სამკითხველოებით. მოსახლეობის ლტოლვას განათლებისაკენ წინ ეღობებოდა დღემდე ნიკოლოზის შავი რეაქცია, ხოლო ნიკოლოზის შემდეგ მენშევიკები, რაც გამოიხატებოდა „ზრდილობიან" ფორმებში გამოთქმულ კატეგორიულ უარში. დღეს ამ მხრივ შეიძლება ითქვას, [illegible] გამარჯვებას მიაღწია. რაში გამოიხატება ეს? ამას დაგვიმტკიცებს შემდეგი უბრალო სტატისტიკა: გურიაში მენშევიკების დროს იყო მხოლოდ სამი გიმნაზია, 7 ოთხ კლასიანი (დღეს რვა წლიან შრომის სკოლად წოდებული) და სხვა დაბალ პირველ დაწყებითი სკოლები. დღეს გურიაში ხუთი ტექნიკუმია, 36 რვა წლიანი შრომის სკოლა, ორი პროფესიონალური სკოლა და 96 ოთხ კლასიანი შრომის სკოლები, 96 პატარა ქოხ სამკითხველოები და თითო წიგნთსაცავ სამკითხველოები ქ. ქ. ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, და ს. [illegible], მაგრამ გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე გურიის მშრომელნი ხედავენ არა მარტო ამაში, არამედ იმაში, რომ საერთოდ დღევანდელი ხელისუფლება დიდ ანგარიშს უწევს მათ, დიდ ყურადღებას აქცევს ამ დარგს და ფართო პერსპექტივა აქვს აქ სწავლა განათლების საქმეს. სწორედ ამიტომ არის, რომ გურიის მშრომელნი დაეწაფნენ ამ დარგში მუშაობას. განყოფილების ინიციატივით და მათი ენერგიული თავდადებული შრომით ამ ხნის განმავლობაში 90 პროცენტი სკოლებისა უკვე შეკეთებულია აქ. ამ ჟამად გურიაში სწავლობს 17,000 მოწაფე, მათ ასწავლის 600 მასწავლებელი, აქედან თვრამეტი უმაღლეს განათლებით 220 საშუალო განათლებით, დანარჩენი კი დაბალი განათლებით. განათლების განყოფილება უწევს მათ იდეურ ხელმძღვანელობას, რაც გამოიხატება საზაფხულო კურსების მოწყობაში ერთის მხრივ, მეორე მხრივ—შტატის გადასინჯვაში. მაგ. მან მოახდინა გენერალური წმენდა და ბევრი უღირსი, როგორც ზნეობით, ისე ცოდნით მოაშორა ჩვენი წმინდათა წმინდას—სკოლას. შეიძლება ეხლაც ბევრი უღირსი მასწავლებელი იყოს, მაგრამ განათლების განყოფილება ამის წინააღმდეგ იბრძვის, ახდენს რევიზიას, თუ რამდენად შეგნებულად ატარებს ესა თუ ის მასწავლებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის პრინციპებს ჩვენ ახალ შრომის სკოლებში და ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ განათლების განყოფილება დიდ ყურადღებას მიაქცევს ამ ნაირივ სკოლებს და მოუწყობელი, სადი რევიზიის საშუალებით ფართო და მტკიცე საფუძველს ჩაუყრის პროლეტარულ კულტურას რევოლიუციონურ გურიაში. მიუხედავათ იმისა, რომ განყოფილება განათლების სახალხო კომისარიატისგან გარდა ჯამაგირებისა სხვა თანხას არ ღებულობს, ის შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს ულარიბეს უსახსრო მოწაფეობას სამოსწავლო ნივთებით. ხოლო უმთავრესად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ის 150 მილიონი მანეთი, რომელიც აწ. ფ. მახარაძემ გადასცა განათლების განყოფილებას, დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ფონდიდან, წყალდიდობის მიერ დაზარალებულ სკოლებისათვის, განყოფილებამ მიზანშეწონილად გამოიყენა ეს თანხა, როგორც ძირითადი, გადასცა ოზურგეთის წიგნის მაღაზიას, რომელმაც მიაწოდა სკოლებს საჭირო სახელმძღვანელოები, ხოლო განყოფილებას მისცა ჯერჯერობით მოსავალი—50 მილიონამდე, რომელიც უკვე გადაეცა დაზარალებულ სკოლებს და თანხა უცვლელად დარჩა მას საწარმოოდ. ასეთი მიზანშეწონილ მუშაობით განყოფილებამ შესძლო გადაედგა მტკიცე სერიოზული და აუცილებელი ნაბიჯი. ეს არის გურიაში ბავშვთა თავშესაფარის გახსნა. აქ ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რამდენად საჭირო იყო ის აქ და რა მნიშვნელობა აქვს მას. ამაზედ დიდ ჩვენმა მტრებმა ილაპარაკონ, რომლებიც გურიაში თითო ოროლა კიდევ დაწანწალობენ. ხოლო ვიტყვი, რომ განყოფილებამ მიიღო 20 სრულიად უპატრონო, უნუგეშო ბავშვები და ნამდვილ ჭირისუფლობასაც გაუწევს მათ.

ამ განყოფილების ქვეპოდოტდელი ხელმძღვანელობს მაზრაში პოლიტიკურ განათლების საქმეს. იღებს ხელმძღვანელობას და მზრუნველობას უწევს ყველა ქოხსამკითხველოებს ყველა წიგნთსაცავს სამკითხველოებს და თეატრებს. ამ ზნის განმავლობაში მან აღმასკომის დახმარებით რევოლიუციონური სახე მისცა ოზურგეთის თეატრს და შეაკეთა ის. მან დახმარება აღმოუჩინა შესაძლებლობის ფარგლებში ასკანის თეატრს. განყოფილებას აზრად აქვს ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს ლანჩხუთის, სუფსის, ჭანეთის და დვაბზუის მცხოვრებთ სახალხო სახლის აგებაში, რომელიც დიდი ენერგიით და ალფროთოვანებით ეკიდებიან ამ საქმეს. პოლიტგანმა შეიძლო ოზურგეთში მოეწყო კინემატოგრაფი და რამოდენიმე რევოლიუციონური სურათები ეჩვენებინა ხანგამოშვებით: პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი", რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრე საზოგადოებაზე, მიუხედავად ტექნიკურ დაბრკოლებათა სურათების გაშვების დროს, რასაც, ჩვენ ღრმათა გვწამს, მალე გადალახავს პოლიტგანი. ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ნ ბათის, ასკანის თეატრებში ხშირად იდგმება რევოლიუციონური წარმოდგენები და ხშირად იმართება ლექციები და მიტინგები სხვა და სხვა რევოლიუციონურ თემებზე.

ასეთია განათლების განყოფილების მუშაობა გურიაში, სადაც ჯერ კიდევ ცოტად თუ ბევრად გასავალი აქვს წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, მაგრამ ჩვენი ახალი პროლეტარული კულტურა თანდათან ფართო ნიადაგს პოულობს აქ, და ჩვენ ღრმათა გვწამს, ეს ბრძოლა ამ განყოფილების სრული გამარჯვებით დამთავრდება.

პროლეტარი.

დუშეთის მაზრა

(ყაჩაღებთან ბრძოლა).

ძარცვისა და ყაჩაღობის ხშირი შემთხვევების გამო გაძნელებული იყო მოგზაურობა სოფ. ავჭალიდან საგურამოს რაიონის განაპირად მდებარე სოფელ ჭოპორტამდე. ხშირ შემთხვევას წარმოადგენდა ისეთი გარემოება, რომ ულარიბესი გლეხები, რომლებიც ტფილისში დადიან შეშისა და ნახშირის გასასყიდათ დაბრუნების დროს გზაში იძარცვებოდენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან საგურამოს რაიონის პარტიული ამხანაგები, ამავე რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ვანო მაისურაძე, რაიონული მილიციის უფროსი ამხ. სამსონ ცოცხალაშვილი და მილიციის თანამშრომელნი, რომლების მაცადინეობით შეპყრობილ იქნენ ა. წ. 9 დეკემბერს ტფილისის მაზრის ზემო ავჭალაში მცხოვრები ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები: 1 სანდრო ბეკურაშვილი, 2. თედო ბეკურაშვილი, და 3. ფაბა სუხიაშვილი, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულობაში და აღმოაჩნდათ მრავალი ნივთები და საბუთები ამ რიგად გლეხებს მიეცათ საშუალებაც ამ გზით მოგზაურობის ამავე წლის მაისის თვის შემდეგ ზემოხსენებული პირების მიერ შეპყრობილ იქნენ აგრეთვე 5 განთქმული ყაჩაღი: 1. იოსებ გირსისაშვილი, სოფელ წიწამურში მცხოვრები, 2 და 3. გიორგი ვანოსძე და ვასო მიტროსძე აფიციაურები, მცხ. ტფილისის მაზრის სოფ. შვინთაძეში 4 ზაქარა გიგაური, ყოფილი მილიციელი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა მილიციის უფროსის გუდუშაურის მკვლელობაში და სასურსათო გადასახადის დროს აკრეფილ ფულის გატაცებაში.

ახლად მოსული

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ამიერ კავკასიის რკინის გზათა წინააღმდეგ საჩივართა აღძვრის წესის შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწორი გადაწყვეტა სასამართლოში ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამოქალაქო საქმეებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოსარჩელე, რომელიც ამიერკავკასიის რკინის გზათა სამმართველოს წინააღმდეგ საჩივარს აღძრავს, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს სარჩელის არზის და ამ არზის ყველა დანართი დოკუმენტის შემოწმებული ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არზას მსვლელობა არ მიეცემა.

2. სარჩელის არზის და დანართების ასლს სასამართლო გაუგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, სასამართლოში გამოსაწვევ უწყებასთან ერთად; ამასთანავე, უკეთუ სარჩელი სიტყვიერად იქნა შეტანილი, სამმართველოს გაეგზავნება სასამართლოში შედგენილი ოქმის ასლი.

3. რკინის გზის საქმის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების ან იმ დადგენილების ასლი, რომელიც ცალკე უნდა იქნეს განსაჩივრებული, სახალხო სასამართლო გაუგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, რომელმაც, თავისი მხრით, დაუყონებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს ამ ასლის მიღების დრო.

4. გადაწყვეტილების ან დადგენილების განსაჩივრების ვადა რკინის გზის სამმართველოსათვის დაიწყება გადაწყვეტილების ან დადგენილების ასლის მიღების დღიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემბრის 20.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 27

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მიწის კანონთა დარღვევის გამო სისხლის სამართლის წესით პასუხის მგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოქალაქე, რომელიც დაარღვევს 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ „მიწათმოქმედების დებულების" მე-15 პუნქტში აღნიშნულ წესებს: გაჰყიდის, გააჩუქებს ან იჯარით გასცემს მისთვის სარგებლობის უფლებით მიცემულ მიწას, სასამართლოს წესით პასუხს აგებს, ისევე, როგორც მისთვის განსაზღვრულ მიზნით ჩაბარებული ქონების მითვისებისა და განფლანგვისათვის და დაისჯება იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვით, მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევით, ამასთანავე ხელშეკრულება გაბათილებულ იქნება.

2 მოქალაქე, რომელიც იყიდის, საჩუქრად თუ გირაოდ მიიღებს ან იჯარით აიღებს ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიწას, დაისჯება ისევე, როგორც იმავე დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**

1922 წ. დეკემბრის 20.
ტფილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სამშაბათს, 26 დეკემბერს დილის 10 საათზე იწვევს საქ. კომუნ. პარტ. რაიონულ კომიტეტების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათ გამგეების თათბირს.

დღიური წესრიგი:

1. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

— საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს, 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე, იწვევს აგიტ. კოლეგიის სხდომას.

დღიური წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ. განყოფილების მოხსენება.
2. კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ მართველობის წარმომადგენლის მოხსენება.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი კვირას, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ, № 22, მესამე სართული) იწვევს შეფების და ქალაქ თბილისის ცალკე სამხედრო ნაწილების (თითო წარმომადგენელი თვითეულ შეფიდან და ნაწილიდან) წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომას.

სავალდებულოა შეფების და ნაწილების წარმომადგენელთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: [illegible]

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-სტატისტიკური ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ა. პასიენოვს გამოცხადდეს აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში დაკარგულ დოკუმენტების მისაღებად.

— ქალთა განყოფილების ორგანიზატორების საერთო—ქალაქის თათბირი, რომელიც დანიშნული იყო ოთხშაბათისათვის, შესდგება შაბათს 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე.

პარტიულები მოვალენი არიან გამოცხადდენ პარტიული დისციპლინის წესით, ხოლო უპარტიოები პროფესიონალურის.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე: დადიანი.

პროფესიონალური

— განათლების მუშაკთა კავშირი ამით გაცნობებთ, რომ ა. წ. 20 დეკემბრიდან 27-დე არის რეგისტრაცია ყველა სკოლის გარეშე მომუშავე პირთა, როგორც უხლა, ისევე წარსულში (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, უცოდინართა ლიკვიდაცია და პირველი საფეხურის სკოლა). რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ დღე კავშირის ბინაზე (მუშ. სასახლე, ოთახი № 36 ამხ. მეგრელიძესთან).

განცხადებები

დამწუხრებულნი ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და მღვდელი გერმანე გიორგაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი—მეუღლის ხოლო მეორე—შვილის

გიორგი გერმანეს-ძე
გიორგაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ბინაზე: განოვის ქუჩა № 3 ბინა № 9, გამოსვენება ცხედრისა მოხდება კვირას 24 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წირვის შემდეგ ვერის სასაფლაოზე. № 709—3—2

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამშრომლებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 10 დეკემბერს ბოროტ-განზრახველების მიერ კუმისის ტყის მახლობლად ვერაგულად მოკლულ კავშირის წევრის მე-7 ე საგადასახადო განყოფილების გამგის

გიორგი გერმანეს ძე
გიორგაძის

დაკრძალვა მოხდება 24 დეკემბერს კვირას დილის 10 საათზე განოვის ქუჩიდან № 3 ვერის სასაფლაოზე.

(702—3—2)

დამწუხრებული დაფინე (ოლღა) გერმანეს ასული, სევერიანე სამსონის-ძე და მათი შვილები: ალიოშა, მიშა და თინა კეკელიძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ მე-7 უბნის გადასახადთა ინსპექტორის დაუვიწყარ

გიორგი გერმანეს-ძე
გიორგაძის

პირველის ძმის, მეორის ცოლის ძმის და უკანასკნელთა საყვარელ ბიძის—ტრაღიკულად გარდაცვალებას

გამოსვენება ცხედრისა მოხდება კვირას, 24 დეკემბერს, დილის 9 საათზე ბინიდან (განოვის ქ. № 3) ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ნაწირვებს ვერის სასაფლაოზე.

კრ. 709—2—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფროსინა, დები: ოლღა, აგრაფინა და მარიამი. ძმები: კალისტრატე, ბიქტორი, ლევანი, ვარლამი, მინა, გრიგოლი, შალვა და ნესტორი, სიძეები: ევლიანე ხოფერია და რაფიელ დვალი მეუღლეებით და ბავშვებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს რომ 24 დეკემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ გიორგის ძე ზერიძის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე მიცვალებულის საფლავზე (ვერის სასაფლაო). (706 2—1)

რუსთაველის თეატრი

დღეს, 23 დეკემბერს

1.
უბედურება
2.
ირინეს ბედნიერება

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (კრ. 769—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 23 დეკემბერს
ალი
კვირას, 24 დეკემბერს
პიკის ქალი
დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 770—2—1)

სახალხო სახლი

კვირას, 24 დეკემბერს
პირველათ სახალხო სახლის სცენაზე
ნ. ნაკაშიძის დრამა
„კაცის სამართალი"
3 მოქ.

მონაწილეობს მთელი დასი. (კრ. 773—1—1)

დედებო!

სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუ მწოვარა ბავშვთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ქვემო ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. **ვერის**—ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. **მიხაილოვის**—რეუტოვის და ნიკოლოზ. ქ კუთ 43.
3. **სადგური**—სადგურის ქ 8, ენფიანჯ. თამბაქ. ქარხ.
4. **ორთაჭალის**—ვორონცოვის ქ ადელხან. ქარხ
5. **ავლაბრის**—მეტეხის ქ № 10.

(761 5—3) მედიცინის ექიმი შენგელიძე.

გამომცემელი ამხანაგობა „სორაპანი" ქ. თბილისი დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თვიური და დღიური კედლის **1923 წ. კალენდარი**

შედგენილი მ. გ. ჩიხლაძის მიერ

„სორაპანის" [illegible] აქვს გახსნილი წიგნის საწყობი გიორგიევის ქუჩაზე № 5. [illegible] № 1113 ალექსანდრეს ბაღი [illegible]. მაღაზიაში იყიდება წიგნები და [illegible] როგორც წიგნები აგრეთვე ყოველგვარი კალენდრები: ქართული, რუსული, სომხური. [illegible] იგზავნება ფოსტით ზედ დადებული ფასით, მისამართი: გიორგიევის ქ. № 5 [illegible]. (675—4—3)

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის
სამოვარ ადგილების და მიწად-მოწყობის განყოფილება
ამით აცხადებს, რომ ის ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

1923 წლისათვის თევზის დაჭერის უფლების მისაღებად შემდეგ მდინარეებში და ტბებში:

1. 5 იანვრისათვის 1923 წ. გორის სამაზრო აღმასკომთან მდინარე მტკვარში და ლიახვში.
2. 10 იანვრისათვის 1923 წ. ბორჯომის აღმასკომთან მდინარე მტკვარში და ტაბა წყურის ტბაში.
3. 15 იანვრისათვის 1923 წ. სამტრედიის აღმასკომთან, მდინარე რიონში.
4. 29 იანვრისათვის 1923 წ. ახალ-ქალაქის სამაზრო აღმასკომთან მდინარე ახალქალაქ-ჩაი და ტოპოროვნის და თუმან-გელის ტბებში.

კრ. 774 (2—1)

ა. კ. ფოსტელსახკომი

იწვევს იმ პირებს, ვისაც სურთ აიღოს
იჯარით დამზადება
ტელეგრაფის და ტელეფონის ბოძების,

ამის შესახებ შემოიტანონ განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში წარწერით
„დამზადება ბოძების".

ა. კ. ფოსტელსახკომის ტეხნიკურ სამმართველოში, არა უგვიანეს 30 დეკემბრისა.

პირობების გაცნობა შეიძლება ხსენებულ სამმართველოში ყოველ დღე 1—3 საათამდე. იჯარის წესიერად და თავის დროზე შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოიჯარადრეების მიერ მთელი იჯარის ღირებულების 5 პროც. საწინდრით ან არა და წარმოსადეგ თავდებობით. ბოძების დამზადება და ჩაბარება უნდა დასრულდეს 1923 წლის 15 მარტისათვის ნებართვა და საურავი ფულის გადახდას ღებულობს თავის თავზე ფ. ტ. სახალხო კომისარიატი შედეგი გამოცხადებული იქნება 2 იანვარს, 1923 წ.

(კრ. 775 2—1)

ს ა ხ ლ ი

განმარტოებულათ მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩა № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

691—12—3

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი ორგანოების—კუჭის და გულის ავადმ. სპეც. წამლობა მალარიისა შაშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (684 25—13)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ
ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულ
საქართველოში,
თანახმად ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს ა
16 დეკემბრის განკარგულებისა, ამით
საყოველთაოთ
აცხადებს

რომ რ. ს ფ. ს. რ. ანგარიშ გასასწორებელ ნიშნ ბის და ვალდებულებების, რომელთაც ეკარგებათ მა ლა 1923 წ. 1 იანვრიდან, მიღების და გადაცვლი ვადა გაგრძელებულია 1923 წ. 31 იანვრამდე.

ფინანსკომის რწმუნებული საქართველოში ბ. ზიბინეიშვილი.

765 (—2)

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების
ფედერაციის რკინის გზათა სამმართველოს
განცხადება
ჯანმრთელობის განყოფილებისადმ

ა/წ. 28 დეკემბერს, დღის 12 საათზე ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის რკინ. გზ. საავადმყოფოს და სად. ტფილისის პროდუქტების დამზადებელ პუნქტისათვის 1923 წ. 1 იანვრიდან—I აპრი შემდეგი პროდუქტების მისაწოდებლად:

ა) ხორცი და ქონი, ბ) კვერცხი და ქათმები, გ) კე ფირი, დ) კომბოსტო, კართოფილი, ჭარხალი, ხახვი, პამიდორი, ლობიო, ბრინჯი, ბურღულ (МАННАЯ КРУПА), კართოფილის ფქვილი, ვერმიშელი, ერბო, ტომატი, ბადრიჯანი, მწვანილეულობა და სხვა, და

კუბოების დასამზადებლად.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ფასების განცხადების საშუალებით დახურულ კონვერტებში და იმ პირთა დასწრებით, რომელთაც სიტყვიერ სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში. ხოლო ის პირნი რომელნიც წარმოადგინეს განცხადებანი დახურულ კონვერტებში უფლება აღარ ექნებათ სიტყვიერ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა.

ის პირნი, რომელნიც წარმოადგენენ განცხადებებს და აგრეთვე ისინიც, ვისაც სიტყვიერ ვაჭრობაში სურთ მონაწილეობის მიღება, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე ადგენენ ოქროს ღირებულების 10 პროც. დღის კურსის მიხედვით.

საქონლის დამზადება შეიძლება აღებულ იქნეს ან მთლიანად ან ნაწილობრივ, როგორც განცხადებაშია აღნიშნული.

ფასები განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს ოქროს ფულით.

კონდიციების და ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ, შეიძლება ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა დღის 12—2 საათამდე.

განცხადების წარდგენის უკანასკნელი ვადა თავდება 20 დეკემბერს დღის 12 საათზე.

კრ. 768 (2—1)

დაიკარგა უმუშევრის წიგნაკი მოცემული ქალაქის შრომის ბირჟიდან სერგო ოტმერის სახელზედ. ჩაილოს გაუქმებულად. (705 1—

ღვინის-სპირტის-კონიაკის სახელმწიფო
ტ რ ე ს ტ ი

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი

გამგეობა: ტფილისი, სასახლის ქ. № 6 ტელ. 16—52.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი აწვდის ყველას განუსაზღვრელად და დიდი რაოდენობით ნაწარმოებს მისი საკუთარი ქარხნების:

ქარხანა № 1. ყოფ. დ. ზ. სარაჯიშვილის—ლენინის ქ. № 30.
ქარხანა № 2. ყოფ. ამხ. „არგო" სი—ნიკოლოზის მოედ. № 13.
ქარხანა № 3. ყოფ. დ. ე. კალანდაძის—ვაგზლის ქ. № 5.
ქარხანა № 4. ყოფ. სოკომინოვის—გომი, გორის მაზრა.
ქარხანა № 5. ყოფ. პროტეერის—სოფ. აბასთუმანი, ზუგდიდის მაზრა.
ქარხანა № 6. ყოფ. სიხარულიძის—კამოს ქუჩა № 68.
ქარხანა № 7. ყოფ. ავჭალის შუშ. ქარ. ლენინის სახელობი—ქვემო ავჭალა.

ღვინის ტრესტის განკარგულებაში იმყოფება აგრეთვე ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა.

ავჭალის შუშეულობის ქარხანა ამზადებს ყველანაირ შუშეულობას. მაგალითად: **ბოთლები**—კონიაკის, არაყის, ლუდის; **ჭიქები**—ჩაის, ღვინის, არაყის, ლუდის—სხვა და სხვა ფირმის; **ნალბაქები**—ჩაის. **ხარძეი გრაფინები; ბანკები**—მურაბისათვის; **ბანკები**—თაფლისათვის.

„მეიდინგერის" ელემენტების ნაწილები

მილები—წყლის საზომი; **მილები**—ნავთის საზომი. **აფთიაქის შუშები. ლამპის შუშები**—სხვა და სხვა ზომის, **კრუჟკები, მაზის შუშები და შუშეულობის** სხვა და სხვა ნაწილები.

დაკვეთები მიიღება როგორც გამგეობაში, ისე ქარხანაში—ავჭალა.

ტრესტის არაყის გამოსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნების ნაწარმოები

1. **სპირტი** რექტიფიკ. 95—96 გრ. (პურის და ჭაჭის)
2. **არაყი** პურის და ჭაჭის.
3. **კონიაკები** ყოფ. სარაჯიშვილის ფირმის
   " " " O. C
   " " " 4*
   " " " 3*
4. **კონიაკები** ყოფ. „არგოს"-ი
   " " " ფინ შამპან.
   " " " 4* 3 ასოთი
   " " " 3* 3 ასოთი.

იძლევა რა გარანტიას თავის ნაწარმოების მაღალ ღირსებაში, რომელსაც ქარხნის ეტიკეტების და სპეციალური იარლიყების გარდა აქვთ სახელმწიფოს ღერბი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი სდევნის ასეთების სიყალბეებს და ფალსიფიკაციაში შემჩნეულებს.

სპირტის და მაგარი სასმელების გატანა საბჭოთა საქართველოს სახღვრებიდან ხდება მხოლოდ სახელმწიფო ღვინის ტრესტის ნებართვით.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი შეუდგა **პორთვეინის** და **შამპანიურის** დამზადებას.

კრახმალის ქარხანა, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა (№ 6 ქარხანასთან) გამოუშვებს ბაზარზე საკუთარი წარმოების კრახმალს და დეკსტრინს.

ქარხანა № 6 მომავალში გამოუშვებს ბაზარზე **ლუდს** და **ხელოვნურ ყინულს**, ხოლო ყოფ. ვილარეტის ლაბორატორია—მთავარ პრეპარატებს.

გამგეობა.

(კრ. 692—0—9)

ტირაჟი 10,000 ს. ს. ტ. ტ.

[illegible] ქ. № 4.